ახალი გაზეთლება

2012 წელი, 20-26 დეკემბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№39 (593) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

თვალსაზრისი

უვიდი პუნქტი

გვერდი 3

საუბრები ლიტერატურაზე

ფიქრები „ვეფხისტყაოსანზე“

გვერდი 5

პედაგოგთა დასახმარებლად

ქართველ რომანტიკოსთა ლიტერატურული პორტრეტები

გვერდი 6

იურისტის კონსულტაცია

სამთავ-ს იურისტის თამარ ავალიანის რეკომენდაციები მასწავლებელთა უფლებების უკეთ დაცვის მიზნით

გვერდი 9

ელფერი

წიგნის თვრო

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

ალბერ კოენი
დედაჩემი



პროსპერ მერიმე
ილელი ვენერა

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

ფასი 12 ლარი

გამოთხოვება ვახტანგ როდონაიასთან



1 დეკემბრის მზიან დღეს, სიონის ტაძარში შეკრებილი მრავალრიცხოვანი საზოგადოება ეთხოვებოდა ვახტანგ როდონაიას – ადამიანს, რომლის ნახევარსაუკუნოვანმა მსახურებამ თავისი კვალი დააჩნია ქართულ სიტყვიერებას, ხოლო ინტელექტუალურ და რაინდულ თვისებათა იშვიათმა ნაზავმა – მთელ მის იერს, შინაგანსა თუ გარეგნულს; იმ იერს, რომლის გაუნელებელი ხიბლიც პატარა დღესასწაულად აქცევდა მის გაცნობას, ხოლო – ინტელექტუალურ ბედნიერებად – მასთან მეგობრობას...

ჯერ კიდევ თბილისის უნივერსიტეტში სწავლისას, თანაკურსელთათვის „ვატა“ როდონაია იყო პირუთვნელი მსაჯული მათი პირველი შემოქმედებითი ნაბიჯებისა. რა მკაცრიც არ უნდა ყოფილიყო მისი განსჯა, არცერთი განხიბლული ახალბედა არ ეურჩებოდა მის „განაჩენს“. უთუოდ გრძნობდა, როგორი აბსოლუტური ლიტერატურული სმენა, როგორი უშურველობა, როგორი პასუხისმგებლობა და ზნეობრივი მუხტი ასაზრდოებდა ამგვარ გულწრფელობას. ეს საშური თვისებები ვატას მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა და მრავალი თანამოაზრე და მადლიერი თაყვანისმცემელი შესძინა; აქაიქ, შესაძლოა, მტერიც. მაგრამ, მისდა საქებრად, ვატა არასდროს ეძებდა საყოველთაო აღიარებას – იგი განასახიერებდა იმ იშვიათ ტიპს ადამიანისა, რომელიც შეგნებულად გაურბის გაჩირაღდნებულ ავანსცენას და განაპირების მყუდრო ჩრდილქვეშ, წლობით, თავმოდრეკითა და რუდუნებით აკეთებს თავისი ცხოვრების მთავარ საქმეს...

დღევანდელი გადასახედიდან ეს „მთავარი საქმე“ განმანათლებლობა იყო. ოღონდ ამ სიტყვის უფრო ძველბერძნული გაგებით: როდესაც უნივერსალურად განსწავლული ადამიანისთვის თავისი ცოდნის, ეთიკური თუ ესთეტიკური მსოფლაღქმის გაზიარება ერთგულ შეგირდთა (სტუდენტთა) აუდიტორიისათვის თუ შემთხვევით მსმენელთათვის იმდენად ღირებულია, ისეთ ინტელექტუალურ ძალისხმევას მოითხოვს, რომ ამ უკიდეგანო ერუდიციისა და სიღრმისეულ წვდომათა ქაღალდზე გადასატანად ზოგჯერ აღარც დრო რჩება და აღარც ძალა... ამით აიხსნება ვახტანგის ესეისტური მემკვიდრეობის მოკრძალებული მოცულობა თუ იმ „თვითუკმარისობის სენით“, რომლითაც ზოგჯერ „ავადდებიან“ სრულყოფილების იდეალით შეპყრობილი შემოქმედნი, ძნელი სათქმელია...

ვახტანგს „რაოდენობის ხარისხში გადასვლისა“ არ სჯეროდა და უმკაცრესი რედაქტორის თვალით გარანდა ის ლიტერატურულ-ისტორიული წერილები, რომლებიც ღირსად ჩათვალა ქართულ პერიოდიკაში გამოსაქვეყნებლად. თუკი ეს პუბლიკაციები წიგნად მოიყრის თავს, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი მკითხველი XX ს. ბოლოსა და XXI ს. დასაწყისის ქართული ესეისტიკის დახვეწილ ნიმუშებს იხილავს. ამ, მომავალი კრებულის ერთგვარ „ღერძად“ აღიქმება სტატია – „თხუთმეტსაუკუნოვანი ლიტერატურა“, რომელიც დღესაც ისეთივე ინტერესით იკითხება, როგორც პირველი გამოქვეყნებისას, 1988 წელს, ჟურნალ „XX საუკუნეში“. განსაკუთრებით ნაყოფიერი თანამშრომლობა აკავშირებდა ვახტანგს ჟურნალთან „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ (1988 წლიდან – „ბალავერი“), რომელსაც თამაზ კვაჭანტირაძე რედაქტორობდა, ხოლო ვახტანგი კი რედკოლეგიის წევრი და რედაქტორის მოადგილე გახლდათ. აქ გამოქვეყნდა მისი ნატიფი ისტორიულ-ლიტერატურული ესეები: „იკორთა“; „ნინოწმინდა“ (ტაძრისა და ლეონიძისეული ლექსის „პარალელური ბიოგრაფიებით“); „ბეთანია“; „რკონი“; 1988 წლით დათარიღებული „მხნედ მიითვალვიდა მახვილსა“, რომელშიც ვატამ მკითხველს გამძაფრებულ ეროვნულ სატკივართა ფონზე ახლებურად წააკითხა იოანე საბანისძის უკვდავი ნაწარმოები.

ვახტანგი, ისევე, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი, განურჩეველი ვერ დარჩებოდა მის თვალწინ დატრიალებულ საზოგადოებრივ ვნებათაღელვებისადმი, მაგრამ მის მეგობრებს კარგად ახსოვთ, როგორ აწონასწორებდა მისი ფილოსოფიური სიდინჯე – ერთთა მალემრწმენობას, ხოლო ირონია – მეორეთა პოლიტიკურ ამბიციებსა და კატეგორიულობას (თავად ვატა „მარადიული უპარტიო“ იყო). ასეთივე გაწონასწორებული ჩანდა ვატა ოჯახურ წრეში, სადაც ცხოვრების ერთგული თანამგზავრი – მანანა და სამი უსათნოესი ქალიშვილი უმშვენებდნენ გვერდს და სადაც სულიერი თანაზიარობისა და ურთიერთპატივისცემის სული სუფევდა.

გადიოდა წლები, ვატას აუდიტორია კვლავინდებურად მისი განსწავლულობით, იუმორითა და ზეპირი ნოველებით მოხიბლული მსმენელებისაგან შედგებოდა. ოღონდ, თანაშეზრდილ მეგობრებს მათი შვილები ენაცვლებოდნენ, მოწაფეებს კი – სტუდენტები. თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც ვახტანგი გელა კანდელაკისა და კოტე ჯანდიერის თხოვნით მიიწვიეს, დღემდე ახსოვთ მისი განუმეორებელი ლექციები... გელა კანდელაკთან მეგობრობას, როგორც ჩანს, თავიდანვე ძლიერი შემოქმედებითი მუხტი ასაზრდოებდა და შემთხვევითი არ იყო, რომ ამ რეჟისორმა თავისი მომავალი კინემატოგრაფიული შედევრის – „სოფლის“ სცენარის თანაავტორობა სწორედ ვატას შესთავაზა (მათი ერთობლივი სცენარითაა გადაღებული კანდელაკისავე ფილმი „ფიქრი“).

ასეთივე სულგანაბული მსმენელები დახვდნენ ვახტანგს ქართული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლეს სასწავლებელში, სადაც იგი ქართული მრავალხმიანობის ამაგდარმა – ანზორ ერქომაიშვილმა მიიწვია. სახელოვანი ლოტბარი ამ დროისათვის საშვილიშვილო საქმეს ახორციელებდა: მსოფლიოში გაბნეულ ქართული ხალხური სიმღერების უცნობ ფონოჩანაწერებს აგროვებდა. ერთობლივი თანამშრომლობა აქაც შედგა – უნიკალური ფონოჩანაწერების ალბომს თანდართული ტექსტის შედგენისას. ნებისმიერი მსმენელისა და მკითხველისათვის ეს ძვირფასი გამოცემა ქართული ვოკალური გენიის უტყუარი დასტურია. მაგრამ, ვინც კი შესწრებია ანზორ ერქომაიშვილისა და ვახტანგ როდონაიას თავდადებული მუშაობის პროცესს, ყველაფერთან ერთად, ამ ალბომს მათი ღირსეული ქართველობისა და მეგობრობის სიმბოლოდაც აღიქვამს.

გასული საუკუნის დასასრულიდან, ვახტანგის კიდევ ერთ ტალანტს მიეცა ასპარეზი. ეს ტალანტი, ისევ და ისევ, „განმანათლებლობის“ სფეროდან იყო, ოღონდ ამჯერად უკვე ამ სიტყვის უფრო საგნობრივი მნიშვნელობით: მან უხელმძღვანელა პროფესიონალ ფილოლოგთა ჯგუფს, რომელთაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს ქართულ სკოლას – შექმნეს თვისობრივად ახალი, საბჭოური კლიშეებისაგან თავისუფალი, მოსწავლისა და მასწავლებლის ერთობლივ ინტერესებზე გათვლილი სახელმძღვანელოები ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ეს წიგნები იმდენად პოპულარული გახდა, რომ ვატას მეგობრები ახლა უკვე მასზე ხუმრობდნენ: „ბავშვმაც კი იცის, ვინ არის ვატა!“ და აღარავის აკვირვებდა წიგნის მაღაზიაში გაგონილი: „ორი როდონაია მომაწოდეთ!“

თავად „როდონაია“ – ერთადერთი და უცვლელად მიმზიდველი, დადიოდა იერშეცვლილ ქალაქში, სადაც ქუჩაში სულ უფრო და უფრო იშვიათად ხვდებოდნენ ძველი ნაცნობ-მეგობრები; ის მოწაფეები კი, სასკოლო ზურგჩანთები სწორედ „როდონაიას წიგნებით“ რომ ჰქონდათ დამძიმებული, სახეზე ვერ ცნობდნენ თავიანთ დამკვალიანებელს და უკანმოუხედავად ჩაურბენდნენ ეშმაკურად მომღიმარ უცნობს...

ვახტანგი კვლავინდებურად ერიდებოდა ხალხმრავალ დარბაზებს, ტელევიზიის კამერებს, მისკენ მომართულ ფოტოობიექტივებს და, საფიქრებელია, რომ მისი მიზეზით შეკრებილი ერთადერთი ხალხმრავლობა, სადაც იგი მშვიდად განისვენებდა, სიონის ტაძარში მასთან უკანასკნელი გამოთხოვება იყო...

ზაზა აბზიანიძე

ინფორმაცია

* * *

განათლების სფეროში ანალიზისა და პოლიტიკური კურსის განსაზღვრის, ინფორმაციული გადაწყვეტილებების მიღების, სამინისტროების სტრუქტურებს შორის სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლისა და ამ მიმართულებით შრომითი ბაზრის მოთხოვნილებების კვლევის საკითხებს მიეძღვნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამართული საკოორდინაციო შეხვედრა.

შეხვედრას უძღვებოდნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეები – **ქეთევან ნატრიაშვილი და ალუდა გოგლიჩიძე**. სამუშაო შეხვედრაში, ასევე, მონაწილეობდნენ: უცხოელი პარტნიორები – **ბარბარა რეიდერი** და **მაიკლ სტაინერი**, სტატისტიკოსები (USDA, NASS), რომლებიც მუშაობენ საქსტატის შესაძლებლობების განვითარების კუთხით, აგრეთვე, წარმომადგენლები სხვადასხვა სამინისტროებიდან, საქსტატიდან და ამერიკის საელჩოდან.

* * *

სასტუმრო „ვერე პალასში“ გაიმართა ევროკავშირისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია, თემაზე – „ხარისხის განვითარებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში“.

აღნიშნული პროექტი ევროკავშირის სექტორული დახმარების პროგრამის – „პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორული მხარდაჭერა საქართველოში“ – ტექნიკური დახმარების კომპონენტს წარმოადგენს და მისი ბიუჯეტი 2 მილიონ ევროს შეადგენს.

ტექნიკური დახმარების პროექტი ორ კომპონენტს მოიცავს. პირველი კომპონენტი პროფესიული განათლების ხარისხის განვითარებას უკავშირდება, ხოლო მეორე კომპონენტი – პროფესიულ განათლებაში ჩართული მხარეების შესაძლებლობების ამაღლებას.

„ვერე პალასში“ გამართულ ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი**, სამინისტროს სხვა წარმომადგენლები, სოციალური პარტნიორები, კერძო და საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, განათლების ექსპერტები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ალუდა გოგლიჩიძე** და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები თბილისისა და რეგიონების მოსწავლეთა თვითმმართველობების წარმომადგენლებს, სასკოლო

სამოქალაქო კლუბების წევრებს, სასკოლო ოლიმპიადებსა და ტურნირებში გამარჯვებულ მოსწავლეებს შეხვდნენ.

შეხვედრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს სკოლის მოსწავლეთა გაერთიანებების ალიანსის ორგანიზებით გაიმართა. პროექტის მხარდამჭერია სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა. აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს ორგანიზაცია PH International, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო სასკოლო სამოქალაქო კლუბებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობების საქმიანობას. მოსწავლეებმა ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობების ამსახველი პრეზენტაციები წარმოადგინეს და იმ შედეგებზე ისაუბრეს, რომელსაც განხორციელებული პროექტების შედეგად მიაღწიეს. ამავე შეხვედრაზე საქართველოს სკოლის მოსწავლეთა გაერთიანებების ალიანსის წარმომადგენლებმა სამოქალაქო კლუბებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობების გაძლიერებაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს როლზეც ისაუბრეს და გარკვეული რეკომენდაციებიც წარმოადგინეს.

ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ალუდა გოგლიჩიძემ მოსწავლეებს განათლების სფეროში დაგეგმილი სიახლეები და სამინისტროს სამომავლო გეგმები გააცნო. მინისტრის მოადგილემ მოსწავლეთა შეკითხვებსაც უპასუხა.

თვალსაზრისი

ფიდი პუნქტი

განათლების მნიშვნელობა. ახლა წინ სწორედ გრეგორი მენქიუს სახელმძღვანელო „ეკონომიკის პრინციპები“ მიდევს, სადაც საუბარია განათლების მნიშვნელობის შესახებ. გრეგორი მენქიუ 2003-2005 წლებში იყო აშშ-ს პრეზიდენტის, უმცროსი ჯორჯ ბუშის ეკონომიკის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.

აღნიშნული ავტორის მიხედვით, „განათლებას – ადამიანური კაპიტალის ინვესტირებას – ქვეყნის გრძელვადიანი პერიოდის ეკონომიკური წარმატებისათვის, სულ ცოტა, ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც ფიზიკური კაპიტალის ინვესტირებას.“ (გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამ. „დიოგენე“, გვ. 534, თბ. 2008).

კონკრეტულად, განათლების მნიშვნელობა შემდეგში მდგომარეობს: „განათლებულ ადამიანს შეუძლია ახალი იდეების ჩამოყალიბება საქონლისა და მომსახურების წარმოების საუკეთესო გზებთან მიმართებაში. თუ ეს იდეები საზოგადოების იდეების ყულაბაში შევა და ყველა შეძლებს მათ გამოყენებას, მაშინ ეს იდეები განათლებიდან მიღებული დამატებითი სარგებლობაა. ამ შემთხვევაში საზოგადოებისთვის განათლების უკუგება უფრო დიდიც კია, ვიდრე ინდივიდისთვის. ეს არგუმენტი ამართლებს ადამიანური კაპიტალის ინვესტირებისთვის გაღებულ დიდ სუბსიდიებს, რომელთაც უფასო განათლების სახით ვიღებთ.“ (იქვე, გვ. 534)

ცნობილია, რომ გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს მწარმოებლურობა – საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა, რომლის წარმოებაც მშრომელს ერთი სამუშაო საათის განმავლობაში შეუძლია. თავის მხრივ, მწარმოებლურობას განსაზღვრავს ოთხი ფაქტორი: ფიზიკური კაპიტალი (მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები, შენობა-ნაგებობები), ადამიანური კაპიტალი, ბუნებრივი რესურსები და ტექნოლოგიური ცოდნა. ადამიანურ კაპიტალს და ტექნოლოგიურ ცოდნას უშუალოდ განაპირობებს ქვეყნის მოსახლეობის განათლების დონე, ხოლო ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და ახალი, პროგრესული და ეფექტური ფიზიკური კაპიტალის შექმნაც სწორედ მდიდარი ადამიანური რესურსების პირობებშია შესაძლებელი. აქედან, ცხადია განათლების, როგორც ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის, ფუნდამენტური მნიშვნელობა. გავიხსენოთ ჯონ კენედის სიტყვები: „ჩვენი, როგორც ქვეყნის, პროგრესი დამოკიდებულია ჩვენს პროგრესზე განათლებაში“.

ხოლო როგორია ქვეყანაში შექმნილი რეალური ვითარება განათლების სფეროში? საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 22%-ია უმაღლესი განათლების მქონე, რაც წამყვან პოზიციებზე მყოფი ქვეყნების მაჩვენებლებს ორჯერ და მეტად ჩამოუვარდება, მაგალითად, კანადაში ეს მაჩვენებელი 51%-ს შეადგენს, ისრაელში – 46%-ს, ხოლო იაპონიაში – 45%-ს.

თუ ვითარება არ გაუმჯობესდა, ჩვენ გვემუქრება მაღალი უმუშევრობა და სიღარიბე. დაბალი განათლების, მწირი ადამიანური კაპიტალის მქონე მოქალაქეები, მით უმეტეს დღეს, ღია, ლიბერალური საერთაშორისო ეკონომიკის პირობებში, როცა ადგილობრივ წარმოებას არ იცავს პროტექციონისტული სავაჭრო ბარიერები, ჩვენი მოქალაქეები ვერ შეძლებენ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას. შედეგი იქნება უმუშევრობა და მცირე მოცულობის მშპ, ანუ მცირედი შემოსავალი თითოეული ჩვენი ქვეყნის მოქალაქისათვის.

რა შეიძლება იყოს მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესების საშუალება? ჩემი აზრით, საჭიროა ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

♦ მცირე ზომის კლასები;

♦ სასწავლო დღის გახანგრძლივება (სკოლაში სწავლის მოდელზე გადასვლა);

♦ არჩევითი საგნების ფართო სპექტრის სწავლება;

♦ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მენეჯერის ინსტიტუტის შემოღება;

♦ მასწავლებელთა მაღალი ხელფასები და მონეტარული წახალისება;

♦ სკოლის მართვის და სკოლის სტრატეგიული მართვის სახელმძღვანელოების შექმნა საყოველთაოდ მიღებული სტრუქტურის შესაბამისად;

♦ ახალი სავალდებულო და არჩევითი საგნების შემოღება.

ამჯერად მოკლედ თითოეულის შესახებ.

1. მცირე ზომის კლასები

პირველი ღონისძიება, რაც საჭიროა იმისათვის, რომ საქართველოს სკოლები ეფექტური იყოს, არის მოსწავლეთა მცირე რაოდენობა კლასში.

ჟურნალ Forbes-ის მიერ გამოქვეყნებულ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ და ძვირადღირებულ სკოლებში, რომლებიც შვეიცარიაშია, კლასში მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა. მაგალითად, სკოლაში College Alpin Beau Soleil, რომელიც ჟენევის ახლოსაა, თითოეულ კლასში მხოლოდ 8 მოსწავლეა; სკოლაში Liceum Alpinum Zouz-ში – 200 მოსწავლე; ლოზანის კერძო ელიტურ სკოლაში Brilliant Mount International School – სულ 100 მოსწავლე; Aiglon College-ში კი ერთ მასწავლებელზე 1-დან 5-მდე მოსწავლე მოდის.

ლუქსემბურგი, რომელიც 2012 წლის მონაცემებით, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მიხედვით, ევროპაში პირველ ადგილზეა ($ 81466), დიდ ფულს ხარჯავს სწორედ მცირე ზომის კლასებზე.

როდესაც ამ საკითხებზე მოსწავლეებს, მასწავლებლებს და სტუდენტებს (როგორც ყოფილ მოსწავლეებს) ვეკითხები, ყველა მათგანის პასუხი ერთი და იგივეა: „კლასში მოსწავლეთა რაოდენობა მცირე უნდა იყოს“. მათი არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ მცირე ზომის კლასში მასწავლებელი შესძლებს ყველა მოსწავლის ჩართულობის უზრუნველყოფას საგაკვეთილო პროცესში და თითოეული მათგანისათვის მეტი დროის დათმობას.

2. სასწავლო დღის გახანგრძლივება

მეორე ღონისძიება, რაც მნიშვნელოვან შედეგებამდე მიგვიყვანს, არის სასწავლო დღის გახანგრძლივება. კერძოდ, ერთ საგანში, მაგალითად, ქართულში გაკვეთილს უნდა დაეთმოს ორი 40-წუთიანი ტაიმი (დრო), შუალედში კი საჭიროა დასვენება (5 ან 10-წუთიანი).

ასეთ ვითარებაში, დღეში 5 საგანში გაკვეთილების ჩატარება საჭიროებს 7-8 საათს, შესაბამისად, მოსწავლეებს სკოლაში სწავლა და დარჩენა მოუწევთ 17.00 სთ-მდე. ასეთ დროს გვექნება უპირატესად სკოლაში სწავლაზე დაფუძნებული მოდელი.

სასწავლო დღის ხანგრძლივობის მიხედვით შეიძლება განვასხვავოთ სამი მოდელი: 1. უპირატესად სახლში სწავლაზე დაფუძნებული მოდელი; 2. უპირატესად სკოლაში სწავლაზე დაფუძნებული მოდელი; 3. სკოლაში სწავლაზე დამყარებული მოდელი.

ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში ჩვენ გვაქვს უპირატესად სახლში სწავლაზე დაფუძნებული მოდელი, ვინაიდან მოსწავლეებს უფრო ნაკლები დროის განმავლობაში უწევთ ყოფნა სკოლაში, ვიდრე სახლში. როდესაც მოსწავლეს სახლში უწევს დიდი დროის გატარება, ხოლო სახლში მას უარყოფითი სასწავლო და სოციალური გარემო აქვს (თუ ოჯახი ღარიბია), მისი დაბალი აკადემიური მოსწრების რისკი დიდია, რადგანაც ცნობილია, რომ მოსწავლის აკადემიურ წარმატებას 85%-ით განსაზღვრავს ოჯახის სოციალური მდგომარეობა. ამიტომ, ქვეყანაში, სადაც დიდია სიღარიბის მაჩვენებელი, შესაბამისად, მაღალი იქნება დაბალი მოსწრების მოსწავლეთა პროცენტული რაოდენობა, როცა ამ ქვეყანაში არის სკოლაში სწავლის მოდელი.

უპირატესად სკოლაში სწავლის მოდელის დროს მოსწავლეები დღის უფრო მეტ დროს სკოლაში ატარებენ, ვიდრე სახლში, მაგალითად, დროის თანაფარდობა შეიძლება იყოს 60%-40%-თან. ასეთ ვითარებაში მოსწავლის წარმატება უფრო ნაკლებად იქნება დამოკიდებული ოჯახის სოციალურ მდგომარეობაზე და მეტად სკოლისა და მასწავლებლის ეფექტურობაზე. სწორედ ამ მიზეზით, ღარიბმა ქვეყანამ, თუ სურს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ძალუმი სტიმულირება და სიღარიბისა და უმუშევრობის აღმოფხვრა უახლოეს პერსპექტივაში, უნდა აირჩიოს უპირატესად სკოლაში სწავლის მოდელი. ეს გაზრდილ ფინანსურ მხარდაჭერას მოითხოვს, მაგრამ დღეს ამ მიზნით დახარჯული დიდი თანხა ხვალ ქვეყანას მწარმოებლურობისა და ადამიანური განვითარების მაღალი ინდიკატორების სახით დაუბრუნდება.

უპირატესად სკოლაში სწავლაზე დამყარებული მოდელის დანერგვა საჭიროებს სკოლაში სოციალურად დაუცველი მოსწავლეების კვებით უზრუნველყოფას (ცნობილია, რომ ფინეთში სკოლაში კვება უფასოა), ხოლო მასწავლებლის სრული განაკვეთი უნდა გახდეს 10 აკადემიური საათი, ნაცვლად 18-ისა.10 ორტაიმიანი (თითო ორმოცწუთიანი) გაკვეთილი 18 ორმოცდახუთწუთიანი გაკვეთილის ტოლია.

მესამე მოდელი, როგორც ზემოთ აღინიშნა, არის სკოლაში სწავლაზე დაფუძნებული მოდელი, როდესაც მოსწავლე გაცილებით მეტ დროს ატარებს სკოლაში, ვიდრე სახლში (მაგალითად, 70-80%-ს ან მეტსაც კი).

3. არჩევითი საგნები

ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრებისა არის ის, რომ მათ ვასწავლით მათთვის უინტერესო საგნებს. გავიხსენოთ ამერიკელი კინორეჟისორის, XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ნოვატორი კინემატოგრაფისტის, ხუთგზის ოსკარის მფლობელი სტენლი კუბრიკის სიტყვები: „ჩემი აზრით, სკოლების ყველაზე დიდი შეცდომა ისაა, რომ ცდილობენ ასწავლონ ბავშვებს ყველაფერი...“ საკუთრივ სტენლი კუბრიკის ცხოვრებაა იმის დასტური, რომ უმჯობესია ბავშვებს ვასწავლოთ ის, რაც მათ აინტერესებთ.

როგორ ხსნიან ფსიქოლოგები იმას, რომ ორ ცვლადს შორის დადებითი კავშირია. ესენია: საგნის ბუნებრივი ინტერესი და საგნის სწავლა. წარმატებით სწავლის პირველი პირობა ბუნებრივი ინტერესია. რაიმე საკითხისადმი ბუნებრივი ინტერესი ქვეცნობიერში აქრობს სწავლის, როგორც რთული პროცესის აღქმას და ძირითადი ყურადღება შინაარსზე გადაგვაქვს. უინტერესო საგნის სწავლას ხშირად მრავალჯერადი გამეორებით ვცდილობთ, მაგრამ გამეორების ოდენობა სწავლის ეფექტურობას არსებითად ვერ შეცვლის.

ჩემი აზრით, საჭიროა საბაზო საფეხურიდანვე დავიწყოთ არჩევითი საგნების სწავლება. ამასთან, მათი რიცხვის თანაფარდობა სავალდებულო საგნებთან მიმართებით დიდი უნდა იყოს, სულაც 50/50-თან. მაგალითად, თუ მე-8 კლასში ისწავლება 10 საგანი, აქედან 5 უნდა იყოს სავალდებულო, ხოლო არჩევითი საგნების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა უნდა განისაზღვროს 3-დან 5-ის ჩათვლით. თითო არჩევითი საგანი შეიძლება ვასწავლოთ 2-3 წლის ან თუნდაც მეტი ხნის განმავლობაში.

აქვე აღსანიშნავია, რომ პირველი სამი გაკვეთილი უნდა დაეთმოს სავალდებულო საგნების სწავლებას, რომლის დროსაც ერთი კლასის მოსწავლეები ერთად ისწავლიან. ხოლო მომდევნო გაკვეთილები უნდა დაეთმოს არჩევით საგნებს და ერთად ისწავლიან სხვადასხვა კლასის ის მოსწავლეები, რომლებმაც იდენტური საგნები აირჩიეს და ამ საგნის სწავლის ერთსა და იმავე საფეხურზე იმყოფებიან.

ცხადია, მოსწავლე გაცილებით უკეთ ისწავლის იმ საგანს, რომელიც მისთვის საინტერესოა. შესაბამისად, ეს ნიშნავს მეტი მოსწავლის მეტ აკადემიურ მოსწრებას, უმაღლესი განათლების მქონე მეტ ადამიანს და მეტ მშპ-ს. გარდა ამისა, არჩევითი საგნების საბაზო საფეხურიდან ფართო სპექტრით სწავლება მოსწავლეებს საკუთარი ნიჭის შეცნობის საშუალებას მისცემს და შესაბამისად, დაეხმარება სწორი გადაწყვეტილების მიღებაში პროფესიის არჩევის დროს, რაც, ერთი მხრივ, თითოეულ მათგანს მეტი წარმატების საშუალებას აძლევს და, მეორე მხრივ, ქვეყნის მეტ პროგრესს უზრუნველყოფს.

4. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მენეჯერი სკოლაში

განათლების სფეროში თანამედროვეობის გამოჩენილი მკვლევარები (მარზანო, ნორფორდი, არქანჯელო) მიიჩნევენ, რომ სკოლის წარმატების ძირითადი ფაქტორი ეფექტური მასწავლებელია. ეფექტური მასწავლებლისათვის დამახასიათებელია: ა) სწავლების ეფექტური მეთოდები; ბ) კლასის მართვის სტილი; გ) გაკვეთილის დაგეგმვა.

იმისათვის, რომ რეალურად ამაღლდეს მასწავლებელთა კვალიფიკაცია სკოლაში და ჩატარდეს ხარისხიანი გაკვეთილები, გარდა დღემდე განხორციელებული ღონისძიებებისა (მასწავლებელთა სახლები, მასწავლებელთა სერტიფიცირება...), საჭიროა, ყველა სკოლაში იყოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების თითო მენეჯერი. მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია უნდა იყოს სწავლა-სწავლების მონიტორინგი ხარვეზებისა და დადებითი მხარეების იდენტიფიცირებისათვის. მონიტორინგის მიზანი კი იქნება არა რაიმე სანქციების განხორციელება, არამედ თანადგომა მასწავლებლისადმი, როცა მისი გაკვეთილი ნაკლებადხარისხიანია. რაც უფრო არაეფექტურია მასწავლებლის გაკვეთილი, მით უფრო სჭირდება მას მხარდაჭერა მისი პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვის სახით.

პროფესიული განვითარების მენეჯერის ფუნქცია უნდა იყოს, აგრეთვე, ხშირი ტრენინგების, სემინარების, სამოდელო გაკვეთილების, დისკუსიების, გაკვეთილების ერთად დაგეგმვა-ჩატარებისა და პროფესიული განვითარებისკენ მიმართული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

5. მასწავლებელთა მოტივირება

გავეცნოთ ციტატებს მართვის სახელმძღვანელოებიდან პერსონალის მოტივირების მნიშვნელობის შესახებ:

„მოტივირებული პედაგოგის გარეშე წარმოუდგენელია სკოლის საგანმანათლებლო მიზნების მიღწევა და მოსწავლეთა მიღწევების ამაღლება... რაც უფრო მოტივირებული იქნება პედაგოგი, მით უფრო წარმატებული იქნება სწავლების პროცესში.“ (სკოლის მართვის სახელმძღვანელო, თავისუფლების ინსტიტუტი, გვ.135, თბ. 2007).

„როდესაც საუბარია სანარმოს წინსვლაზე, მთელი არსი მოტივაციაშია.“ (ლი იაკოკა)

„იმისათვის, რომ ორგანიზაციამ წარმატებით მიაღწიოს თავის მიზნებს, საკმარისი არაა ორგანიზაციული, ტექნიკური, რესურსული საკითხების გადაწყვეტა და პროფესიონალი პერსონალის მოზიდვა. ყოველივე ამასთან ერთად აუცილებელია შრომის პროცესის ისე ორგანიზება, რომ ყოველმა მომუშავემ მაქსიმალური ძალისხმევა და დაინტერესება გამოავლინოს დასახულ ამოცანათა მისაღწევად. ისტორია, მეცნიერული გამოკვლევები, პრაქტიკული ცხოვრება და გამოცდილება ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ ადამიანმა მხოლოდ მაშინ შეიძლება მიაღწიოს დასახულ მიზნებს და გამოავლინოს თავისი უნარ-შესაძლებლობები, როცა ის სათანადოდაა მოტივირებული, როცა საამისოდ რეალური სტიმულები აქვს.“ (როგორ ვმართოთ თანამშრომლები, UNDP, გვ. 224, თბ .2008).

„საკმარისი არ არის თითოეულ თანამშრომელს ავუხსნათ ახალი სტრატეგიული მიდგომების არსი და დაგეგმილი მაჩვენებლების მიღწევის მნიშვნელობა ორგანიზაციის მომავალი კეთილდღეობისათვის. მიუხედავად მენეჯერის პროპაგანდული ნიჭისა, აგიტაცია ნაკლებად ახდენს შრომის სტიმულირებას გრძელვადიან პერსპექტივაში. თანამშრომლებში თავდადებული შრომის ჟინის გამოწვევისათვის ხელმძღვანელობა შემოქმედებითად უნდა მიუდგეს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სტიმულების შემუშავებასა და გამოყენებას.“ (სტრიკლენდი, ტომპსონი, სტრატეგიული მენეჯმენტი, გვ. 544).

ამისათვის საჭიროა მასწავლებელს ჰქონდეს უფრო მეტი ხელფასი, ვიდრე დღეს აქვს. მაგალითად, აშშ-ში ახალბედა მასწავლებლის ხელფასი წელიწადში $30-35 ათასია, ხოლო გამოცდილის – $ 60 ათასი. ფინეთში მასწავლებლის ხელფასი თვეში 2500 ევროს შეადგენს. გარდა ამისა, რიგითი ამერიკელი მასწავლებელი ცხოვრობს საკუთარ სახლში, დადის კარგი მანქანით და ისვენებს საუკეთესო კურორტებზე.

ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებებს – მცირე ზომის კლასებს, სკოლაში სწავლას, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მენეჯერებს, მასწავლებელთა მეტ ანაზღაურებასა და წახალისებას სჭირდება გაცილებით მეტი საბიუჯეტო მხარდაჭერა. განვითარებულ

→ 4

თვალსაზრისი

ქვეყნებში სწორედ რომ კოლოსალურია განათლების სფეროს დაფინანსება.

აშშ-ს სახელმწიფო ბიუჯეტი სამ დონეს მოიცავს, ესენია: ფედერალური, შტატების და ადგილობრივი ბიუჯეტები. განათლება ფინანსდება შტატების ბიუჯეტიდან. თუ ერთმანეთს შევადარებთ ფედერალური და შტატების ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილებს, დავინახავთ, რომ ფედერალურ დონეზე ყველაზე მეტად ფინანსდება სოციალური უსაფრთხოება – $ 496 მლრდ, ხოლო შტატების დონეზე – განათლება – $ 595 მლრდ (გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გვ. 233,237). მაშასადამე, აშშ-ს კონსოლიდირებული სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი მუხლი არის **განათლება**. ეს არ არის გასაკვირი. აშშ-ს მთავრობა და საზოგადოება მომავალ გრძელვადიან და სტაბილურ კეთილდღეობას სწორედ განათლების პროგრესს უკავშირებს ყველაზე მეტად. საშუალოდ ევროპაში განათლებაზე საბიუჯეტო ასიგნება, მშპ-სთან მიმართებაში, 5-6%-ს შეადგენს, ლიტვაში – 5,8%-ს,ხოლო საქართველოში – 2,4 %-ს.

ამჯერად, გავეცნოთ მონაცემებს იმის შესახებ, ევროპის წამყვანი ქვეყნები რამდენ დოლარს ხარჯავენ მოსახლეობის ერთ სულზე განათლებაში.

1. ლუქსემბურგი – 3600
2. ნორვეგია – 2800
3. შვედეთი – 2600
4. დიდი ბრიტანეთი – 2300
5. ნიდერლანდები – 2100

მასწავლებელთა წახალისების ერთ-ერთი ქმედითი საშუალება შეიძლება იყოს პრემირება. პრემია უნდა გაიცეს მოსწავლეთა მიერ ნაჩვენები კონკრეტული შედეგების მიხედვით. კერძოდ, თუ კლასში მოსწავლეთა დიდი ნაწილი – 70% გადალახავს ტესტურ დავალებათა 50%-ს. ტესტირება იქნება საკმაოდ მარტივი, იაფი და სწრაფი, თუ ის ონლაინმეთოდით ჩატარდება (მასწავლებელთა წახალისების შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ ნეტგაზეთი mastsavlebeli.ge, 30 აპრილი, მასწავლებელთა მოტივაციის ერთ-ერთი ფაქტორი).

პრემიის გამოთვლის მრავალი ფორმულის შემუშავება შეიძლება, მაგრამ მთავარია ერთი პრინციპის დაცვა – პრემიის ოდენობა უნდა განისაზღვროს მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულების მიხედვით.

6. სკოლის მართვის სახელმძღვანელოები

საქართველოში ჯერ კიდევ არ გვაქვს სკოლის მართვის სახელმძღვანელოები, რომლებიც მოიცავს მართვის თეორიაში საყოველთაოდ მიღებულ სტრუქტურას. მართვის მეცნიერების აღიარებული სტრუქტურა ასეთ სახეს ატარებს: 1. სტრატეგიული დაგეგმვა, 2. ორგანიზაცია (მართვის სტრუქტურა, უფლებამოსილებათა განაწილება), 3. მოტივაცია, 4. კონტროლი. აღნიშნული საკითხები მართვის ძირითადი ფუნქციებია. გარდა ამისა, მართვის მეცნიერება მოიცავს დამატებით ფუნქციებს, რომელთაც დამაკავშირებელ ფუნქციებს უწოდებენ, ესენია: კომუნიკაცია და გადაწყვეტილება. მართვა მოიცავს აგრეთვე ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორებიცაა: კონფლიქტებისა და სტრესების თავიდან აცილება და მართვა, შრომის ნაყოფიერება, მართვის სტილი, ჯგუფური დინამიკა, ადამიანურ ურთიერთობათა ზნეობრივი რეგულირება...

იგივე უნდა ითქვას სკოლის სტრატეგიული მართვის სახელმძღვანელოს შესახებ. არც ასეთი სახელმძღვანელო გვაქვს ჯერჯერობით.

ცნობილი ამერიკელი ავტორების, ტომპსონისა და სტრიკლენდის მიხედვით, სტრატეგიული მენეჯმენტი ხუთ საფეხურს მოიცავს:

– მისიისა და ხედვის ფორმულირება;
– მიზნების განსაზღვრა;
– სტრატეგიები;
– სტრატეგიების განხორციელება;
– მონიტორინგი.

სკოლის სტრატეგიული მართვის სახელმძღვანელოების შექმნა, საფიქრებელია, გააუმჯობესებს სკოლის მართვის პრაქტიკას, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება სასწავლო პროცესზე.

7. ახალი სავალდებულო და არჩევითი საგნების სწავლების აუცილებლობა

ზემოთ ისეთ საკითხებზე იქნა ყურადღება შეჩერებული, რომელიც ძირითადად სასწავლო პროცესის ორგანიზებას უკავშირდება. მაგრამ რაოდენ ეფექტურადაც არ უნდა იყოს ორგანიზებული სწავლება, ქვეყნის პროგრესის სტიმულირებისა და ადამიანთა კეთილდღეობისათვის ეს ყოველივე ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნება, თუ მოსწავლეებს არ ვასწავლეთ დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მეცნიერებები, ანუ კითხვაზე – „როგორ

უნდა ვასწავლოთ?“ უფრო მნიშვნელოვანია კითხვა – „რა უნდა ვასწავლოთ?“ ამ კითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად საჭიროა შემოვიღოთ ორი კრიტერიუმი: ა) კორელაცია ეკონომიკურ ზრდასთან და ბ) კორელაცია ბედნიერებასთან.

ცხადია, ის საგნები, რომლებიც დღეს ისწავლება, მნიშვნელოვანია პიროვნების მრავალმხრივი განვითარებისა და მისი, როგორც სოციალური არსების, მომზადებისათვის. ესგ-ში მათი მნიშვნელობა სავსებით ნათლადაა განსაზღვრული. ამასთან, ჩემი აზრით, საჭიროა სხვა საგნების დამატებაც, სავალდებულო და არჩევითი საგნების სახით მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

უნდა ვასწავლოთ ისეთი საკითხები, რომლებიც კორელაციაშია ეკონომიკურ ზრდასთან. ესენია ბიზნესისა და ეკონომიკის ისეთი მეცნიერებები, როგორებიცაა ბიზნესის ადმინისტრირება და მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსების მართვა და მაკროეკონომიკა. თანამედროვე ეკონომიკას, ცნობილია, რომ უწოდებენ ცოდნის ეკონომიკას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეკონომიკის ზრდა დღეს დიდადაა დამოკიდებული მეცნიერულ ცოდნაზე. მაგალითად, კალიფორნიაში, ელექტრონული პროდუქციის მწარმოებელ ფირმაში „სილიკონ ველი“ 6000-მდე მეცნიერებათა დოქტორი მუშაობს. თუ ჩვენ გვინდა შევძლოთ მსოფლიო ბაზარზე გარკვეული ადგილის დამკვიდრება, როგორც ეს ქართველ ერს შეეფერება და ძალუძს, ჩემი აზრით, საჭიროა მეცნიერებათმცოდნეობის საფუძვლების შესახებ ცოდნა ბავშვებს სკოლებში მივცეთ. ასეთი მეცნიერებებია: გნოსეოლოგია, მეცნიერების ფილოსოფია, ლოგიკა.

სასწავლო საგნების შერჩევის მეორე კრიტერიუმი უნდა იყოს ადამიანის ბედნიერება. ზნეობრივი ყოფიერება ადამიანის ბედნიერების დომინანტური ფაქტორია („სუფთა სინდისი საუკეთესო ბალიშია.“ – ჰენრიკ იბსენი). აქედან გამომდინარე, სკოლაში უნდა ისწავლებოდეს ეთიკა – მოძღვრება ზნეობის შესახებ. ჯერ კიდევ დიმიტრი უზნაძე ამბობდა, რომ სკოლის დანიშულებაა აღზარდოს არა მხოლოდ პიროვნება, არამედ აგრეთვე მოქალაქე, მორალურად განვითარებული ადამიანი. ვფიქრობ, ადამიანი უნდა ფლობდეს სოლიდურ ცოდნას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

– რომელია ზნეობრივი ქცევის ფაქტორები (ზნეობრივი მოტივები, შეგნება და ნებისყოფა);
– რა არის ზნეობრივი თვითსრულყოფა;
– რა არის სინდისი და სირცხვილი, მოყვასის სიყვარული და რა არის საჭირო ამ გრძნობების განვითარებისათვის;
– რა არის სიკეთე და ბოროტება, რა არის ზნეობრივი მოტივებით (მოყვასის სიყვარული, სინდისი, ემპათია, ღვთის სიყვარული) განსაზღვრული სიკეთე;
– რა არის ცხოვრების საზრისი, სიკეთის კლასიფიკაცია სახეებად და დონეებად;
– რა არის მიტევება, თავმდაბლობა და სხვ.

ეს ყოველივე ზნეობის აქსიოლოგიის, ზნეობის ფსიქოლოგიის და ნორმატიული ეთიკის საკითხებია. სკოლაში უნდა ისწავლებოდეს ისეთი საკითხები, რომლებიც უკავშირდება ჯანსაღი ცხოვრების წესს, საკუთარი ჯანმრთელობის უზრუნველყოფას, რაციონალურ კვებას (გამოკვლევებით, ადამიანის ჯანმრთელობას 70%-ით სწორედ რაციონალური კვება განსაზღვრავს), სტრესებისა და უარყოფითი ემოციების პრევენციასა და მართვას.

დავით ნაჭყებია
მარტვილის მუნიციპალიტეტის
დიდი ჭყონის N1 საჯარო
სკოლის დირექტორი

სასკოლო ღონისძიება

დავით კლდიაშვილი – 150

წელს, მთელი ჩვენი ქვეყანა სიამაყით აღნიშნავს დიდი ქართველი კლასიკოსი მწერლის დავით კლდიაშვილის დაბადების 150 წლის იუბილეს.

აღსანიშნავია, რომ ამ საერთო სახალხო ზეიმს, შემოქმედებითი ენთუზიაზმით შეუერთდა სსიპ ქუთაისის № 8 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა. სკოლის ბიბლიოთეკასთან ერთად, ჯერ კიდევ სასწავლო წლის დასაწყისში, შეადგინეს გეგმა და აქტიურად ჩაებნენ ღონისძიების მომზადებაში. კათედრამ გამოსცა გაზეთის სპეციალური ნომრები; მოაწყო კლდიაშვილის ნაწარმოებების კითხვა, სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტში კლასების მიხედვით, მოისმინეს თამაზ კვაჭანტირაძის ლექციები: „დავით კლდიაშვილი – უცნაური მწერალი“, „დავით კლდიაშვილის „ცრემლნარევი ღიმილი“, „დავით კლდიაშვილის მხატვრული სამყარო“, „დავით კლდიაშვილის ქართული – სიყვარული მაწერინებდა“, „დავით კლდიაშვილი და ცისფერყანწელები“.

კათედრამ, სკოლის ბიბლიოთეკასთან და კლასის დამრიგებლებთან, **ირმა ბერძენიშვილთან** და **სოფიო ბასილაძესთან** – ერთად, მოაწყო ექსკურსია სოფელ სიმონეთში, დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმში. მოსწავლეებმა სიამოვნებით დაათვალიერეს კარ-მიდამო და იმერული სახლი, სადაც დაიბადა და აღიზარდა მომავალი მწერალი, გაეცნენ მემორიალურ ნივთებს, სახლის პირველ სართულზე მოწყობილ გამოფენას, რომელიც საინტერესო ინფორმაციას იძლევა მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ლექცია-საუბრის შემდეგ, მოსწავლეთა ძალებით, გაიმართა ლიტერატურული საღამო და მინი-სპექტაკლი. მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მწერლის ცხოვრებისეული ეპიზოდების ცოდნაში, დავითისადმი მიძღვნილი არაერთი გამონათქვამით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მწერლის სიდიადესა და განუმეორებლობას. მათივე ძალებით გაიმართა დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირის“ ინსცენირება. დარისპანის როლი სინტერესოდ განასახიერა **თორნიკე ნოსელიძემ**, ღიმილის მომგვრელი იყო **თიკო ვაწაძის** მართა და **მათიკო შერვაშიძის** პელაგია; კაროჟნას როლს მშვენივრად ასრულებდა **თეკლა ფურცხვანიძე**.

სკოლის პედაგოგებმა: **მზია ზარნაძემ**, **ირმა ბერძენიშვილმა**, **სოფიო დარსაძემ** და **სოფიო ბასილაძემ** დადებითად შეაფასეს ღონისძიება და მადლობა გადაუხადეს მონაწილე ბავშვებს. აღნიშნეს, რომ ეს დღე კეთილმოსაგონრად დარჩება როგორც მოსწავლეების, ასევე პედაგოგების და მშობლების ცხოვრებაში.

მზია ზარნაძე
სსიპ ქუთაისის №8 საჯარო
სკოლის ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებელი

საუბრები ლიტერატურაზე

ფიქრები „ვეფხისტყაოსანზე“

მე მგონი, ყველა ქართველი, ვისაც „ვეფხისტყაოსანი“ უყვარს, ხშირად ფიქრობს მასზე, ფიქრობს და უხარია, რომ ქართველებს აქვთ ისეთი წიგნი, რომელსაც თამარ მეფეც კითხულობდა და შენც კითხულობ. საოცარი გრძნობაა... რაღაც სულიერ კავშირს გრძნობ ყველა ქართველთან, საუკუნეების წინ რომ უცხოვრია და ამ სტრიქონებით დამტკბარა...

ვინ იცის, რამდენ ქართველს უფიქრია პოემის სიუჟეტსა თუ ქარგაზე, მის მოქმედ პირებსა თუ ნაწარმოებში ჩაქსოვილ იგავურ საწყისებზე...

ვინ იცის, კიდევ რამდენი იფიქრებს ამაზე მანამ, სანამ ქართველობა ივლის ამ დუნიაზე!

მეც იმ ფიქრებს გადმოგცემთ, „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვის შემდეგ რომ მომდის ხოლმე... იმედია, არ განმსჯით.

უბრალოდ, ეს ყოველივე პოემის კითხვისას მებადებოდა და რატომღაც მეგონა, ასე უფრო ახლოს ვარ მეთქი პოეტის სულთან, რომელიც არც არასოდეს დაშორებია, ალბათ, თავის ბედკრულ ქვეყანას... არ დაიჯერებთ, მაგრამ ღამ-ღამობით, უძირო ცის შემყურეს, ხშირად დამისვამს ხოლმე უსასრულო სივრცისკენ მიმართული რიტორიკული შეკითხვა: ვინ იყავ, ბატონო შოთა, ღმერთი, ქართველთა მეოხად, მის ძალთა დასარწმუნებლად მოვლენილი, თუ უბრალო მოკვდავი?

ვითარ ვირწმუნოთ შენი მოკვდაობა, ქართველთა საესავო?

* * *

როგორი ურთიერთობაა ფარსადანსა და ნესტანს შორის? არის კი ისეთი, როგორიცაა თინათინსა და როსტევანს შორის, სადაც მამა ისწრაფვის, შვილს გაუმხილოს თავისი სადარდებელი? რაღაც ამდაგვარი თავდაპირველად, ალბათ, იყო.

დააკვირდით: ეტყობა, მამა სახელმწიფოს მართვას ასწავლიდა თავის მხოლოდ შობილს და, ამ მიზნით, სამეფოს საჭირბოროტო საქმეებზეც უყვებოდა. მაშ, საიდან უნდა სცოდნოდა ნესტან-დარეჯანს ხატაელთა ამბოხის შესახებ?

დავაკვირდეთ, რას სწერს ის ინდოეთის ამირსპასალარს, რომელსაც, ალბათ, თვით თავისი თანამდებობრივი ცენზით ეკუთვნოდა სცოდნოდა ყოველივე, მაგრამ არაფერი იცოდა და მხოლოდ ნესტანის საშუალებით გაიგო:

„ხატაეთს მყოფნი
ყოველნი ჩვენნი სახარაჯონია,
აწ მათნი ჯავრნი ჩვენზედა
ჩვენგან არ დასათმონია“.

ახლა იმასაც ჩავუკვირდეთ, როგორ აღმოჩნდა ნესტანი კოშკში ჩაკეტილი. მანამდე, სანამ ტარიელს შეეძლო „ომში შესვლა“, ქალ-ვაჟი ერთად იზრდებოდა:

„საშობელი გაიყარა,
ზრდა დაგვიწყეს მე და ქალსა,
მართ მაშინვე ჰგვანდა იგი
მზისა შუქსა ნასამალსა,
ვუყვარდით და სწორად ვუჩნდით
მეფესა და დედოფალსა“.

ფარსადანმა, ალბათ, შეატყო, ნესტან-დარეჯანი მუდამ უკან რომ დასდევდა მის შვილობილს, პატარა გოგოებმა რომ იციან ისე და, როგორც გამოცდილი კაცი, მიხვდა, ეს მომავალში მას საფრთხეს უქადდა. ამიტომაც, ყოველგვარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ტარიელი „მამასავე მისცეს ხელთა“, ხოლო ქალიშვილი კი კოშკში ჩაკეტეს „სიბრძნის სასწავლებლად“. თუმცა, როგორც ვნახეთ, უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა. თავის ბავშვობის მეგობართან დაცილებამ ნესტანს უფრო გაუღრმავა გრძნობები და, იქნებ, ამან უფრო მეტადაც კი შეუწყო ხელი ქალის გრძნობების გაღვივებას? ნახეთ, რას სწერს ის ვაჟს:

„შენგან ჩემისა ქმრობისა
წინასცა ვიყავ მნდომია“.

რატომ იყო წინათაც ამის მნდომი? საიდან? ალბათ, იმ ბავშვური ერთგულებიდან, რაც ტარიელისადმი მანამდე ჰქონდა. მან ისიც კარგად შეატყო მამას, ტარიელის გამეფებას რომ არასდროს დასთანხმდებოდა. ამიტომაც იფიქრა: მეფე დარდობს ხატაელთა ურჩობას და ტარიელმა ისინი რომ ომში დაამარცხოს, მასზე, როგორც ინდოეთის მომავალ მეფეზე, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მის მომავალ ქმარზე, უარს არ იტყოდა. მაგრამ ფარსადანს ამაზე ფიქრიც არ სურს, თუმცა ნესტანი თავის შეცდომას უფრო გვიან ხვდება, მანამდე კი თვითონ თანახმაა, ვაჟთან ერთად ძალაუფლება გაინაწილოს. დიახ, გაინაწილოს და არა მთლიანად გადასცეს. გავიხსენოთ, რას ეუბნება ერთხელ ტარიელს:

„...ვინცა გინდა ეპატრონოს
ინდოეთსა,
ეგრეც მე მაქვს პატრონობა,
უგ ზოს ვლიდენ, თუნდა გ ზეთსა“.

ამას ის, რა თქმა უნდა, ხვარაზმშას შვილთან დაკავშირებით ამბობს, მაგრამ, არა მგონია, ტარიელთან დაქორწინების შემდეგ სხვაგვარად ეფიქრა!

ნესტანს, ახალგაზრდული იდეალიზმით სავსეს, სწამს, რომ ტარიელი შეძლებს მეფის გულის მოგებას. მერე კი, როცა ვაჟი მისი გათხოვების მიზნით შეკრებილ თვალთმაქცურ თათბირზე ხმას არ იღებს, თითქოს იდეალები ემსხვრევა!

თუმცა, როცა ვაჟის არგუმენტებს მოისმენს, ბრძენი ასული ხვდება, რომ საქმე აქვს, ფაქტობრივად, დიდ ბავშვთან, რომელსაც სიძლიერეც აქვს, სილამაზეც, მაგრამ ჯერ ვერ უსწავლია გამზრდელი მეფისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობის დაშვებაც კი... ამიტომაც უმალ უბრუნდება გული ტარიელზე და რჩევების მიცემას იწყებს.

* * *

ფარსადანი კი ყველაფერს აკვირდება. შეუძლებელია, ვიფიქროთ, რომ მას არ ჰყავდეს ასულის კოშკში მეთვალყურეები. ამიტომაც კარგად იცის, რომ ტარიელთან კოშკიდან წერილი გაიგზავნა, მაგრამ ჯერ კიდევ არაა დარწმუნებული, რომ ნესტანი ამდენს გაბედავს. ამავე დროს, ისიც შეუძლებელია, რომ მის მიერ შერჩეულმა დიდგვაროვნის ასულმა (სხვას, უბრალოდ, ნესტანს არც მიუჩენდნენ) გრძნობები ასე სააშკარაოზე გამოიტანოს და ვაჟთან სახლში მივიდეს. ამ შეხვედრის შესახებ ტარიელთან შეყრილი ამხანაგებისგანაც ადვილად გაიგებდა მეფე (თუმცა ისინი, რა თქმა უნდა, ქალის პირშებურულობის გამო, მის ვინაობას ვერ ეტყოდნენ), თავისი მოენეც რომ არ ჰყოლოდა. მეორე დღეს კი ინდოეთის ახალგაზრდა მთავარსარდალი, მეფისგან დაუკითხავად, ხატაელებთან წერილს აგზავნის და მარზპანებს უბრძანებს, ლაშქარი შეკრიბონ.

მეფე ხმას არ იღებს. იქნებ ფიქრობს კიდეც, შეიძლება, ახალგაზრდა კაცი გამოუცდელობით ომში დაიღუპოს და საქმე რატომ გავამწვავოო. მას ისიც კარგად ახსოვს, მისდა საეშმაკოდ, თვითონ რომ წაიყვანა ტარიელი კოშკში და იქ ვაჟს უცნაური სენი რომ შეეყარა. ისიც კარგად ახსოვს, ხატაელთა შესახებ ნესტანთან რომ დაიჩივლა... მაგრამ უფრო მძაფრი არგუმენტებია საჭირო... ამიტომაც ომიდან გამარჯვებით მობრუნებულ ტარიელს საზეიმო დახვედრას მოუწყობს, ლხინსაც გაუმართავს და წინ ნესტან-დარეჯანს, იმ ნესტან-დარეჯანს, რომლის სანახავად ვაჟთან ერთად კოშკში მისულმა, ის შიგნითაც კი არ შეიპატიჟა, წინ დაუსვამს. გამოუცდელი ქალ-ვაჟი მახეში ებმება. ისინი, ერთმანეთის პირისპირ მსხდომნი, ვერ შეძლებენ, თვალი აარიდონ ერთურთს (ამაზე სხვა მეცნიერებიც ამახვილებენ ყურადღებას).

აქ გამოჩნდება ფარსადანის, როგორც მეფის, ეგოიზმი. მას ვერ აუტანია, რომ ამ 16-18 წლის ვაჟმა ხატაელები დააჩოქა, ის ხატაელები, რომლებმაც ჩათვალეს, რომ სარიდანის სიკვდილის შემდეგ, მისი „უწვერული“ ვაჟის მთავარსარდლად დანიშვნა ფარსადანის ჭკუასუსტობის პირველი ნიშანი იყო და ხარკიც შეუწყვიტეს: ვნახოთ, აბა, ძველებურად თუ იყოჩაღებსო! ინდოელთა მეფემ, რა-რა და, ის კი იცოდა, მისი და სარიდანის გაზრდილი ომში რისი მოქმედიც იყო, ამიტომაც მიუშვა.

ხატაელები მალე მიხვდნენ, რა შეცდომაც დაუშვეს. ამან კი ფარსადანი, რომელსაც თავისი გაზრდილი, ალბათ, იმდენად უყვარდა, რამდენადაც ამის უნარი ჰქონდა და არც ერთი მისხალით მეტი, უფრო გააშმაგა. უფრო მეტიც, მე მგონი, მას ვაჟი შესძულდა კიდეც (ამიტომაც, როგორც ამბობენ, დასაჩუქრებულს უშვებს ხატაელთა მბრძანებელს, რომელმაც ის, როგორც მეფე, ფაქტობრივად, უგულებელყო, როცა ხარკის მიცემა შეუწყვიტა. სხვაგვარად ამის ახსნა შეუძლებელია). ამიტომაც ფრთხილობს ნესტანი. აი, რას ეუბნება ერთგან ის ვაჟს:

„მე თუ ზეპირ მიცინია,
ქვე-ქვე მითქვამს იდუმალ ვა“.

რატომ ტიროდა „იდუმალ“ ქალი? იმიტომ, რომ კარგად იცოდა ფარსადანის ნამდვილი დამოკიდებულება ტარიელისადმი... და მამის მიერ მისი გათხოვების გადაწყვეტილებას უკვე აშკარად ეწინააღმდეგება.

ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ტარიელისათვის რიდეს გამორთმევაში. ეს ხომ ის რიდეა, რომელიც ვაჟს სახალხოდ ეკეთა და მერე კი მეფემ – ძალიან გიხდებაო – და არ მოხადა კიდეც. ამის მოწმე უამრავი ადამიანი იყო ლხინზე. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, ნესტანი გამომწვევად იქცევა და აგრძნობინებს მამას, ყველაფერს მიგიხვდიო. რა შედის ამ ყველაფერში?

ჩემი აზრით, თვით ტარიელის დასაჩუქრების პროცედურაც კი. ეს ყველაფერი ლხინის დროს ხდება. მანამდე ტარიელისთვის კაბის გადაცემის უამრავი შესაძლებლობა იყო, რაც დაადასტურებდა მეფის მისადმი განსაკუთრებულ კეთილგანწყობას, მაგრამ ფარსადანი ამას არ აკეთებს. ის ვაჟს, რაღაც უაზრო მიზეზით, არ აცმევს ახალ ტანსაცმელს და მხოლოდ საჭურჭლეს გადასცემს. რა უნდოდა ამით ეთქვა? ალბათ, ეს განსაკუთრებული რიტუალი იყო და სწორედ ამიტომაც არ შეასრულა ის ფარსადანმა. ამადაც გაილაშქრა ნესტანმა უმალ მამის წინააღმდეგ თავისი გადაწყვეტილებით, რაც, უდავოდ, მალევე მოედებოდა მთელ სამეფოს. ამიტომაც, მეფემ, რომელმაც, თავისი მოენეების საშუალებით უეჭველია უმალვე გაიგო გამომწვევი საჩუქრის შესახებ, არ დააყოვნა და მეორე დღესვე სასახლეში იხმო ტარიელი...

ერთი სიტყვით, ფარსადანსა და მის ასულს შორის ფარული ომი დაიწყო...

ვინ იცის, შემდეგ, რამდენჯერ ინანა უშვილოდ და უტარიელოდ დარჩენილმა მეფემ თავისი ეგოიზმი?

ავი ენები ამბობენ: თამარი ნაწყენი დარჩენილაო პოემის წაკითხვის შემდეგ. ალბათ იმიტომ, რომ მამამისის ფარული გაკიცხვა ამოიკითხა ბრძენმა ასულმა. იქნებ ისიც იფიქრა, დიდმა პოეტმა შეფარვით საყვედური მითხრა: რატომ ნესტანივით წინ არ აღუდექიო მამის შენის უკანონო სურვილს? ან, იქნებ, შენც, ნესტანივით, არავის დაუთმობდიო სამეფო სკიპტრას?

ნეტავ სხვა რა უნდა სწყენოდა „შვიდგზის მანათობელს“?

* * *

მუდამ მაინტერესებდა: ნეტავ რატომ არაა ერთი სიტყვაც კი ნათქვამი ასმათის გარეგნობაზე? ყველაზეა: თინათინზე, ნესტანზე, ფატმანზე, ავთანდილზე, ტარიელზე, ფრიდონზე, ასმათზე კი – არა! იქნებ იმიტომ, რომ ის, მაინცდამაინც, დიდი სილამაზით არ გამოირჩეოდა? მე, რატომღაც, ასე მგონია. ალბათ, ამიტომაც არ უყურებდა ტარიელი მას, როგორც ქალს, არასოდეს, არც ერთი წამით! ხომ საოცარია, რომ მრავალი წლის ერთად ყოფნის მიუხედავად, მათ შორის არასოდეს სასიყვარულო ინტრიგასთან მიახლოებული სცენის არანაირი ჩანასახიც კი არ ჩანს? რაღაც არაბუნებრივი იქნებოდა ეს ყოველივე, ასმათი ულამაზესი ბანოვანი რომ ყოფილიყო. ჩემი აზრით, არაფერს ნიშნავს თვით ასმათის სიტყვებიც, ტარიელს რომ ეუბნება:

„მაგრა აწ მიდებს იმედსა
შენგან ცდისაღა მალობა,
ამას თუ ღირს ვარ, ვერ ვიტყვი,
მაკლია ღვთისა წყალობა“.

ჩვენ კი კარგად ვიცით, რა მიზეზებით დასთანხმდა ტარიელი ამ შეხვედრას:

„ჩემგან იმედსა გარდასწყვეტს,
მერმე დამიწყებს გმობასა;
დავწერე, რაცა პასუხად
ჰმართებდა აშიკობასა“

რატომღაც ყველაზე უფრო „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს შორის სწორედ ასმათი მეცოდება, მეცოდება ეს „მეშვიდე სამეფოს“ მომავალი მეპატრონე, რომელზედაც თვალი არავის რჩება, თვით ფრიდონსაც, ამ სიყვარულს მოწყურებულ ჭაბუკსაც კი...

მაშ, ასმათ, რა გჭირდა ასეთი? გონჯი ხომ არ იყავი? მაგრამ შენს სულიერ მშვენიერებასთან ფიზიკური სილამაზე რა მოსატანია?

* * *

ნეტავ როგორ ხდებოდა თამარის გამეფება („ისტორიათა და აზმათა“ წიგნს არ ვგულისხმობ, უფრო სამეფო პირთა განცდები მაინტერესებს)?

ვის „მისცეს ხელთა“ დემნა ბატონიშვილი?

იყო თუ არა ღვთის რისხვა ახალგაზრდა ლაშა-გიორგის უეცარი სიკვდილი?

* * *

სადა ხართ, ჩვენო სათაყვანებელო შოთასა და თამარის საფლავებო, იქნებ ორივე იერუსალიმის წმინდათაწმინდა მიწაზე? გიპოვით კი ოდესმე თქვენი შთამომავალნი?

აზა ქადარია
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

წიგნის თარო

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს 2012 წლის საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულების შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83

პედაგოგთა დასახმარებლად

ქართველ რომანტიკოსთა ლიტერატურული პორტრეტები

წერილი მეოთხე
დასასრული

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ისეთი შეგრძნება გაქვთ, თითქოს უკვე გსმენიათ ასეთი ნატვრა და მერე გახსენდებათ, რომ დედამიწის საპირისპირო ნახევარსფეროში, ჩრდილო ამერიკაში, ბარათაშვილის დიდი თანამედროვე და სულიერი თანამოძმე, ჰენრი თოროუ სწორედ ასეთ ნატვრას განახორციელებს, საზოგადოებას განერიდება უოლდენის ტბის ნაპირას და თავის „მარტოობის ქრონიკებს“ დაუტოვებს შთამომავლობას, ვითარც გაუხუნარ ლიტერატურულ შედევრს. ერთი სევდისმომგვრელი დამთხვევაა ამ ორ ბიოგრაფიაში: თოროუ სწორედ იმ ჟამს აისრულებს თავის წადილს და დასახლდება უოლდენის ნაპირად, როდესაც განჯაში გახიზნული ბარათაშვილი სიცოცხლეს ეთხოვება... ეს 1845 წელია.

წერილი ზაქარიასადმი 1844 წლის აპრილითაა დათარიღებული – ბარათაშვილის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, მაგრამ ეს მოტივი – საზოგადოებიდან გამოცალკევების, ახლობელთაგან დაუფასებლობის, შინაგანი თვითგვემისა – მთელ მის შემოქმედებას გასდევს.

იმ მოგონებათა ფონზე, რომელნიც გვიხატავენ არაჩვეულებრივად ხალისიან, მოძრავ, მკვირცხლ და ენამახვილ ბარათაშვილს, თბილისის ყველა სალონისა და წარჩინებული ოჯახის სასურველ სტუმარს, – ეს უკმარობის გრძნობა ან რომანტიკოსის ნიღბად უნდა ჩავთვალოთ, ან ვირწმუნოთ, რომ ბარათაშვილის სალონურ ურთიერთობათა მოვარაყებულ ჩარჩოში ნელინელ ტრაგიკული ნაკვთებით აღბეჭდილი პორტრეტი გამოიკვეთა.

რადგან პორტრეტი ვახსენე, უთუოდ, პოეტის გარეგნობაზეც უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა – ეგების აქაც იმალებოდა მისი დრამის ერთი მიზეზთაგანი.

„ბარათაშვილი მოთეთრო სახისა იყო, – იგონებდა ლუკა ისარლიშვილი, – პირხმელი, შავი ცოცხალი თვალებით, წაბლისფერი თმით, საშუალო ტანისა და სისქისა. ხშირი წარბები ერთმანეთთან გადაღობილი ჰქონდა. მოგრძნო თვალები ცხვირისაკენ იყო დახრილი. წვერს არ ატარებდა. ხშირად არც ულვაშს. სახე შორიდან შნოიანი ახლოდან ცოტა დაღმეჭილსა ჰგვანდა... საგრძნობლად კოჭლობდა, მაგრამ მაინც ბევრს დარბოდა“.

დიმიტრი ყიფიანი, რომელიც ბარათაშვილს კარგად იცნობდა, წერდა, რომ ტატო იყო: „პატარა, ტანდაბალი, ნოღაცხვირიანი, მაგრამ მეტისმეტად ცოცხალი, მხიარული, მოსწრებული თანაც მეტისმეტად უანგარო, მიუხედავად გაჭირვებისა ყველაფერში, და ყოველთვის მზადმყოფი დახმარებოდა გაჭირვებულს რითაც კი შეიძლებოდა“ („ლიტერატურის მატიანე“, 1940, №1-2, გვ. 409).

ნეტავ რას ფიქრობს ეს „მხიარული და მოსწრებული“ ახალგაზრდა კაცი, როცა სარკეში იცქირება და თავის თავს თავისსავე მეტოქეებს უდარებს?... ახლა აღარავინ არ მიუალერსებს დედასავით და გადიასავით – „ჩემო დახატულო ბიჭოოო“, არც სათნო ნიკოლოზ დემიენტიევი გადაუსვამს ხელს თავზე, რუსულის მასწავლებელი – „Ну, что, напрокази, чал, курносненьк, й!?“ ის საალერსო სიტყვები კი, ჭავჭავაძიანთ სახლის ბანზე, მანანა ორბელიანის სალონში თუ ყაბახზე სეირნობისას რომ მოუსმენია, ახლა ცბიერებად ეჩვენება, რადგან, კაცმა რომ თქვას, მართლაც და რაა მარტო საალერსო სიტყვა ამ მიტოვებული და მაინც გრძნობამოძალებული მიჯნურისათვის, თავის მარტოსულობას რომ დასტირის:

ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა
ოხვრა არის შვება უბედურისა!
(ბარათაშვილი 1945: 20)

ეს ტაეპი „სული ობოლიდან“ ბარათაშვილმა მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ წერილში ჩაურთო, როგორც სურათი მისი იმჟამინდელი სულიერი მდგომარეობისა. ეს წერილი, თავის მხრივ, ამომწურავი კომენტარია მისივე ლექსისა: „...ეს ღამეც წავიდა ვითარცა სიზმარი, კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ, – არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც ვერავის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში. ვინც მაღალის გრძნობის მქონე მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლები მეგონებოდნენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი?“ (ბარათაშვილი 1945: 82).

ამ წერილის კითხვისას გაიფიქრებ – რა უიღბლობაა: ერთადერთი ქალი ბარათაშვილის გარემოცვაში, რომელსაც იშვიათ ხიბლთან ერთად, სულშიჩამწვდომი მზერა ჰქონდა და პოეტის ჭეშმარიტი ფასი იცოდა, მაინცდამაინც მისი ბიძაშვილი იყო და ამასთანავე, უახლოესი მეგობრის – ლევან მელიქიშვილის საცოლე. ამ გაჭიანურებულმა საცოლეობამ, ჯვრისწერის გარეშე დაბადებულმა ვაჟმა, გარეშემოთა მითქმა-მოთქმამ დაასნეულა, დააჭლექა და, საბოლოოდ, საფლავში ჩაიყვანა ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე მაიკო ორბელიანი – კიდევ ერთი მსხვერპლი იმ „ქართა ვნებისა“, რომელთაგან დახსნას ასე მხურვალედ ევედრებოდა ზენაარს მაიკოს მესაიდუმლე და სიყრმის მეგობარი – ნიკოლოზ ბარათაშვილი:

ცხოვრების წყაროვ, მასვე წმიდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში სალმობანი გულისა სენთა!
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!
გულთა-მხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე:
შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე,
და – ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთო შენდა სათქმელად?
მაშა დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად!
(ბარათაშვილი 1945: 22)

ამ ვედრებისა და აღთქმის მიუხედავად, ტატო, განწირულ ფარვანასავით, ისევ და ისევ იმ დამდაგველი ალისაკენ მიილტვის და რაღაც ხანს, მის ცხოვრებას კიდევ ერთი ილუზია აფერადებს, ხოლო მისი ლექსების რვეულს კიდევ ერთი ლექსი ემატება. ასე იყო „ჩემი ლოცვის“ დაწერამდეც და მას შემდეგაც.

ერთხანს, ბარათაშვილი გატაცებული ყოფილა თბილისში ჩამოსახლებული ფრანგი ქალით – დელფინა ლაბიელით (ლუკა ისარლიშვილის ცნობით, სწორედ ამ დელფინას უძღვნა პოეტმა ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“). ო, რარიგი აღტაცებით სწერს ტატო მიხეილ თუმანიშვილს, რომ დელფინას დედამ რამდენიმე დღით წყნეთში მიიპატიჟა, როგორი ნეტარებით წარმოისახავს ამ რამდენიმე დღეს...

ამის შემდეგ არსად, არც ლექსებში და არც წერილებში, ბარათაშვილს წყნეთში სტუმრობაზე ხმა აღარ ამოუღია – ეტყობა მიხვდა, რომ ეს მოპატიჟება დათვალიერებას უფრო ჰგავდა... დელფინას დედას, საკონდიტროს მფლობელს და პრაქტიკულ ქალს, რომანტიკული ილუზიები როდი ამოძრავებდა, – სასიძოებს ეძებდა თავისი ორი ქალიშვილისათვის. ბოლოს შეარჩია კიდეც საკმაოდ წარჩინებული და გვაროვანი ოფიცრები...

ბარათაშვილის ბოლო გატაცება, განჯაში, უკვე მთლად რომანტიკული ხასიათისა იყო: ნიკოლოზი, როგორც მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, შესტრფოდა „ხანის ქალს“ – თვრამეტი წლის გონჩა-ბეგუმს, რომელიც ძალად გაეთხოვებინათ, იმხანად ქმრისაგან თავის დახსნას ღამობდა და ნაღვლიან ლექსებს წერდა...

აგონებდა რაღაცით ეს ისტორია ბარათაშვილს თავის „კატინკას“ – ეკატერინე ჭავჭავაძეს და ამიტომ განსაკუთრებით თანაუგრძნობდა გონჩა-ბეგუმს, თუ უბრალოდ მისი სიყმაწვილითა და სილამაზით იყო მოხიბლული, ძნელი სათქმელია, მაგრამ ლექსი კი მიუძღვნა, თავისი უკანასკნელი ლექსი –

მადლი შენს გამჩენს, ლამაზო, ქალო შავთვალებიანო
დღისით მზევ, ღამე მთოვარევ, წყნარო და ამოდ ხმიანო!..
(ბარათაშვილი 1945: 45)

როდესაც ბარათაშვილის ბიოგრაფიის ამ, ინტიმურ მხარეს გადაავლებთ თვალს, მის ერთმანეთს მიყოლებულ წარუმატებლობებში რაღაც გულსაკლავ კანონზომიერებას ხედავთ და ცდილობთ ამოიცნოთ ყოველივე ამის მიზეზი: ვგონებ არც ხელმოკლეობაა აქ მთავარი, არც კოჭლობა და არც სხვა რამ თვალშისაცემი გარემოება... რაღაც უფრო ღრმად ჩამალული მიზეზია. რაღაც ის, ბედნიერს რომ ხდის ადამიანს, – ლექსს აწერინებს, ცის სილურჯით თუ საყურის აელვარებით აღაფრთოვანებს, ღამით ვარსკვლავებს ათვლევინებს და წარმოსახულ სამყაროში აცხოვრებს, მაგრამ იმავდროულად, – სჯის და აუბედურებს, რადგან ეს ყმაწვილური იდეალიზმი, ეს რეალობას მოკლებული აღქმა – სხვისიც და თავისი თავისაც, სასურველის ვერმიღწევა, ხოლო არსებულის ვერმორგება, – საბოლოო ჯამში იმ მწარე იმედგაცრუებად შემობრუნდება, რომელიც გამოსჭვივის ბარათაშვილის წერილებში და ლექსებში, განსაკუთრებული სრულყოფით კი „მერანის“ განწირული მხედრის მონოლოგში:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,
ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის!
შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარისშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრიალით, მიწას მამაყრის!
სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა, ოხერსა
დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად
მივალალებენ სვავნი მყივარნი!
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო,
გარდამატარე ბედის სამძღვარი;
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი.

იშვიათია ლექსი, რომელიც ერთსა და იმავ დროს, პოეტური ავტობიოგრაფიც იყოს და ანდერძიც, ძალზედ პიროვნულიც და, იმავდროულად, თავისი ეპოქის უძირითადესი ტენდენციის გამომხატველიც.

ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში გიორგი აბზიანიძე აღნიშნავდა „მერანის“ მნიშვნელობას, როგორც ქართული საზოგადოებრივი თვითშეგნების, ასევე, ჩვენი პოეტური კულტურის ისტორიისათვის:

„ეს ლექსი ქართველმა ხალხმა მიიღო, როგორც ეროვნული შეგნების მხატვრული სიმბოლო. მან ძლიერი ბიძგი მისცა ჩვენში მთელი საუკუნის პოეტურ შემოქმედებას. „მერანი“ შეიძლება ჩაითვალოს მე-19 საუკუნის ახალი ქართული პოეზიის საწყისად, როგორც პრინციპულად ახალი საფეხური ქართული პოეტური კულტურის განვითარებისა“ (აბზიანიძე 1955: 47).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების მდინარებას თუ დავუბრუნდებით, ავისმომასწავლებელ ფერისცვალებას შევნიშავთ: იგი მართლაც ტრაგიკულ სიტუაციაშია მომწყვდეული: სულ უფრო და უფრო უძნელდება ყოფნა თავის წრეში, მაგრამ მის გარეშეც ვერ ძლებს...



ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი, ლევან ჭოღოშვილი

„ახლა ჩვენ ვიღას მოვაგონდებით, ვიღაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახჩევანში...“ – წერს ბარათაშვილი მაიკო ორბელიანს თავის თავზე და მაიკოსსავე საქმროზე – ლევან მელიქიშვილზე... (ბარათაშვილი 1945: 93).

ეს მუდმივი უკმარობის გრძნობა, ცხადია, ბარათაშვილის ხასიათსაც დაემჩნა. „მკვირცხლი, ცელქი, მოუსვენარი, ცოტა ანჩხლი, ნერვებიანი, ენამახვილი“ გიმნაზისტი (იონა მეუნარგიას დახასიათებით) ორიოდე წელიწადში გარდაიქმნა ბედით უკმაყოფილო მოხელედ, რომლის მარტოსულობას მისივე მწარე ენა და უცნაური ხასიათი ამძაფრებს: როგორ უნდა გამოიყვანო მოთმინებიდან ენაკვიმატობით შენი თანშეზრდილი მეგობარი და შენივე ბიძა – ილიკო ორბელიანი, დუელში რომ გამოგიწვიოს?... ის ილიკო ორბელიანი, ორიოდე წლის შემდეგ, ტყვედ რომ ჩაუვარდება შამილს და „მერანს“ რომ მიუძღვნი...

ბედისწერის ხელს ჩვენ ხშირად შემთხვევითობას ვარქმევთ. ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა ტატო ილიკოს დამბაჩიდან ნასროლი ტყვიის მსხვერპლი გამხდარიყო. არც მოხდა ასე. მაგრამ რატომღაც მგონია, რომ სწორედ ბედისწერამ მიიყვანა მამუკა ორბელიანის ეტლი ბარათაშვილების სახლის სადარბაზოსთან ნიკოლოზის თელავში გამგზავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე. თელავის მაზრის უფროსის თანაშემწედ უკვე განწესებული ბარათაშვილი განჯის მაზრის უფროსმა მამუკა ორბელიანმა თავის თანაშემწეობაზე დაიყოლია და წაიყვანა კიდეც განჯაში.

მერე კი ეხვეწებოდა განჯიდან ნიკოლოზი გრიგოლ ორბელიანს, – როგორმე საქართველოში გამომიძებნე სამსახურიო, – აუტანელ ჰავასა და მწირ საზოგადოებას უჩიოდა... მაგრამ ბედისწერას სხვაგვარად ჰქონდა განზრახული.

როგორ შეიძლება რაიმე ლოგიკა ეძიოთ ოცდაშვიდი წლის ახალგაზრდა კაცის სიკვდილში, მაგრამ იმ სულიერი ჩიხიდან, რომელიც ბარათაშვილის ბოლოდროინდელი ლექსებიდან და წერილებიდან ჩანს, გამოსავალი, ვგონებ, ერთადერთი იყო...

თუ კაცს არ სჯერა შემთხვევითობებისა და ფატალურად უცქერის ცხოვრებას, იმასაც დაიჯერებს, რომ განუზრახველი და გაუცნობიერებელი თვითმკვლელობაც არსებობს: სწორედ ასეთ თვითმკვლელობად თუ აღვიქვამთ „განჯის ციებისაგან“ დასიცხული, უკვე თითქმის გამორჩენილი ბარათაშვილის მიერ დალეულ იმ ერთ კათხა ცივ ლუდს, რომელმაც შეუბრუნა სენი და იმსხვერპლა კიდეც 1845 წლის ცხრა ოქტომბერს...

განჯაში იმხანად ბარათაშვილის არცერთი ახლობელი არ იყო. არც არავის დაუტირია. განგებამ თითქოს აქაც ისურვა „მერანის“ მისნური წინათგრძნობა სიტყვასიტყვით აღსრულებულიყო.

ბარათაშვილის ობოლ საფლავთან რუსული ეკლესიის გალავანში მაღალი კვიპაროსი მდგარა და კარგა ხნის შემდეგ მისი სიკვდილიდან, როცა საფლავის ქვაც დაიკარგა, მის სამარეს ამ კვიპაროსით აგნებდნენ....

მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1893 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ინიციატივით, ბარათაშვილის ნეშტი თბილისში გადმოასვენეს, დიდუბის პანთეონში, ხოლო 1938 წელს, უკვე მის საბოლოო და მარადიულ თავშესაფარში – მთაწმინდაზე...

ზაზა აბზიანიძე

ლადო ასათიანი — 75

„მე თვით სიკვდილსაც გარდავქმნი ლექსად“

ეს ზღაპარი თბილისის №143 საჯარო სკოლაში (დირექტორი – **მაია მელქაძე**) დაიწყო... კეთილი ზღაპარი სიყვარულისა, სილამაზისა, მამულიშვილობისა...

დღეს სტუმრის დღეა – „სტუმარო, მოხველ მშვიდობით“ და აი, ჩვენც აქ ვართ, მასპინძლები – VII[1] კლასის მოსწავლეები და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ქეთევან მუმლაძე**. დღეს ჩვენ დიდი სიამაყით ვმასპინძლობთ ყველას ერთი არაჩვეულებრივი გაკვეთილით. შემოდგომამ, ჩვენმა სევდიანმა ქალბატონმა, ცოტა ხნით ჩვენს დარბაზში დაიდო ბინა, სევდიანად გაგვიღიმა და გვიამბო ზღაპარი გმირობისა... გვიამბო პოეზიის რაინდის – ლადო ასათიანის სიცოცხლის სევდიან ისტორიაზე, ლექსის უკვდავებაზე. მანამდე კი წავიკითხეთ, შევისწავლეთ, აღვფრთოვანდით, ჩავწვდით ლადოს პოეზიის დიდებულებას და სტუმრამდე მივიტანეთ.

ფოთლები ოქროსფერ ხალიჩებად დაფენილან და გარინდულან... ყაყაჩოები ცეცხლისფრად ბრიალებენ და იღიმიან სასიამოვნოს მოლოდინში. შემოდგომის მწუხრის ნისლში გახვეულა ლადო ასათიანის უამრავი ფოტოსურათი... სკოლის ჩვეულებრივი ოთახი ნამდვილი თეატრის სცენად ქცეულა... უბრალო, მაგრამ გემოვნებით მოწყობილი დეკორაციები მნახველის გულს იპყრობდა. ოთახში ბნელა. მხოლოდ სანთლები ჩურჩულებენ. მოლოდინში სული გაუნაბავს ყველას... მათ შორის 29 მოსწავლეს, 29 მეშვიდეკლასელს – დღეს მათი დღეა!.....

ხუმრობა ხომ არ არის დიდი პოეტის ქალიშვილი გვსტუმრობს – ქალბატონი **მანანა ასათიანი**. დიდი გამოცდა ელის პატარებსაც – ამდენი ხნის მცდელობამ კვალი უნდა დატოვოს. უკან დარჩა საათობით ჩატარებული რეპეტიცია – ლადოს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მონათხრობი, მოგონებები, ლექსებით ტკბობა... ვარჯიში მახვილზე, მარცვალზე, ხელის მოძრაობაზე, მიმიკაზე, ლექსის დინამიურობასა და მაჟორისა თუ მინორის შეგრძნებაზე, გარდასახვაზე, ემოციასა თუ ჟესტიკულაციაზე... ყველას ახსოვს ქეთინო მასწავლებლის შეგონება – ლექსს მოეფერეთო. ქართულ სიტყვას, ქართულ ბგერას, ქართულ ცასა და მიწას, ქართულ პურსა და ღვინოს მოფერება ისე ჭირდება, როგორც ეფერებოდა ლადო ასათიანიო. მთლიანობაში კი მოფერება ჭირდება ქართულ პოეზიას! იყო უამრავი ლექსი, ტკივილიანი მოგონება, მუსიკა და სიმღერა... ჩოხებსა და კოსტიუმებში გამოწყობილ-დამშვენებულები. ლადო – შამილი, პირველი ძარღვი ამ მონოსპექტაკლისა, იწყებს: „რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი, თუ მამულს თავი არ ანაცვალე?!“ ეს პათოსი მიყვება საღამოს. შემდეგ და შემდეგ კი: **მარიამ ოთხოზორია** სილამაზედ და სიყვარულად დაღვრილი, **ლუკა რაზმაძის** ვაჟკაცური, თუმც სევდიანი ტონი: „ჰეი, თქვენ არაგველებო...“ **ნიკა ხარაიშვილის** გონიერება და შთაბეჭდილება, **ლიკა მელაძის** სითბო და ნაზი სევდა, ფაშას (გუსეინოვი) გაჯიბრება და სიმხნე: „დაუკარით! და იმღერეთ ისე მაგრად...“ **ნიკა შუბითიძის** შემართება და გაფიქრება: „ცხრა ლახვარი რომ დამარტყათ ცხრაჯერ გულში!...“ **ქრისტინე როხვაძის** სიმშვენიერე და სიყვარულის აღმაფრენა: „ისე გავიდა ეს გაზაფხული...“ **ამირან ტორონჯაძის** ლექსის კითხვის სიტკბო: „ეს გაფრენილი ფაფარი, თუ მშობლიური ნისლია?“ **თიკო ნაბორაშვილის** – ქართველი ქალის სილამაზე და კდემამოსილება, **ლილე ჩაკვეტაძის** შთაგონება და ფიქრი: „ჰეი, ძმობილო, შეხედე, რამდენი ყაყაჩო გაშლილა!“ **ანანო ჯორბენაძის** ყაყაჩოს მოფერება: „ახლა ყაყაჩო შემომხვდა ლამაზი ქალის შუქითა..“, **მარიამ უნდელაშვილის, სალომე მაისურაძის, ანა კირვალიძის, ნინო კანტიძის** მიერ პოეტის პირადი წერილების შთამბეჭდავად წაკითხვა, მისი ცხოვრების განცდისა და ემოციის მაყურებლამდე მიტანა. **სანდრო დავითური, ლექსო სიფრაშვილი, ირაკლი გუგუჩაშვილი, გიორგი ცაბაშვილი** ეფერებოდნენ რუსთველის სახელს, თბილისს, ნიკო ფიროსმანს და საათნავას, იხსენებდნენ: „რა კარგი იყო ბარდნალა“. **ლევან ვაჭრიშვილის** ცეცხლი და სურვილი: „რუსთველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალოს ღმერთმა“; **მარიამ შერმადინის** შთაგონებული კითხვა და ნაზი სევდა: „როგორ არ მინდა, ძლიერო სენო, ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო...“ **ნინო გუნიას** მოკრძალებულად წარმოთქმული ლექსი: „ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს ჩვენი ბავშვობა და სილამაზ“. **გიო გოგავა** კი სევდიანად აჟღერებდა გიტარას და კიდევ უფრო მეტად გვაგრძნობინებდა ლექსის სილამაზეს, ამძაფრებდა განცდას ლადოს პოეზიის რაინდული სულისა.

სიკვდილზე გამარჯვებასა და სიყვარულის უკვდავებას უმღეროდნენ მეათეკლასელი გოგონები: **ნათია ჟღენტი, სალომე გუგეშაშვილი, თიკო ღვინიაშვილი** (მუსიკის პედაგოგი – **ხათუნა ბარნაბიშვილი**). ლადო ასათიანის კოლაჟის შექმნასა და ტექნიკურ საშუალებების გამოყენებაში დაგვეხმარა სკოლის მენეჯერი **მაია კობახიძე**. მადლობა მას.

დაბოლოს:

„და იმ ბედნიერ დღეს
გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით
ამ ქვეყანაზე“

– გახმიანდა და მოედო დარბაზს. საღამო ტაშით დაგვირგვინდა.

ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციის სცენარი, აგრეთვე რეჟისურა და დარბაზის დეკორაციების შექმნა მე მეკუთვნის. მიხარია, რომ რაღაც გამომივიდა. დარბაზში ისმოდა მოწონების შეძახილები.

საინტერესოა მონაწილეთა ფიქრები:

„21 ნოემბერია, მზემაც ჩაიძინა, მე კი არ მძინავს, შევყურებ ხევსურულ კაბას და ერთი სული მაქვს,როდის ჩავიცვამ ნეტავი როდის გათენდება! მე ხომ ამ დღისთვის საგანგებოდ დავწერე ლექსი ქალბატონი მანანასათვის!“ – **ლიკა მელაძე**.

„ჩემი აზრით, ეს იყო ყველაზე კარგი პოეზიის საღამო მთელ მსოფლიოში. დიდი მადლობა ქეთევან მასწავლებელს!“ – **ლექსო სიფრაშვილი**.

„ფიროსმანის სურათები, ყაყაჩოები, სანთლის ლიცლიცზე ლადოს ლექსების კითხვა, სტუმრების თვალებზე ცრემლები... შემოდგომის გრილი დღე სიყვარულით ათრობდა ყოველივეს.“ – **სალომე მაისურაძე**.

„გულის ფანცქალით ველოდი ამ დღეს, მეშინოდა ქეთევან მასწავლებლისთვის იმედები არ გამეცრუებინა. დარბაზის სილამაზემ ძალა მომცა. ვგონებ, გამომივიდა. ყველაფერი ეს სიზმარი იყო. დიდი მადლობა ამ წუთებისათვის ჩემს ქეთინო მასწავლებელს, რომელიც ძალიან მიყვარს.“ – **ქრისტინე როხვაძე**.

„ჩემთვის ლადო ასათიანის ლექსების კრებულზე გაკეთებული წარწერა, რომელიც პოეტის ქალიშვილმა მისახსოვრა, ძალიან ძვირფასი იქნება მთელი სიცოცხლის მანძილზე: „მშვენიერ მარიამს – საუკეთესო სურვილებით!“ – **მარიამ ოთხოზორია**.

„ლადო ასათიანის ლექსებს უკვე მეორე თვეა ვსწავლობთ პოეზიის გაკვეთილებზე: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, რომელიც ტრადიციად დაამკვიდრა ქეთინო მასწავლებელმა. მაგრამ იმან, რასაც დაგვპირდა, პოეტის ქალიშვილს მოვიწვევთო, აღმაფრთოვანა. ჩვენმა კლასმა პოეტის 16 ლექსი ვისწავლეთ და ასე ხელდამშვენებულები შევხვდით ქალბატონ მანანა ასათიანს.“ – **ლილე ჩაკვეტაძე**.

„ცხადად დავინახე, ბევრს ცრემლი როგორ მოადგა თვალზე, სულგანაბული ვუსმენდი ქალბატონ მანანა ასათიანის მოგონებებს, ისიც შევნიშნე, ყველა ლექსს რომ იმეორებდა, ალბათ, რა ამაყი იყო!“ – **სანდრო დავითური**.

„ლიტერატურული თეატრის დასრულება კულმინაციური იყო. ჩამესმა: „ბრავო!“ ოვაციებით შეგვხვდნენ და მივხვდი, რომ ყველაფერი კარგად გამოგვივიდა.” – **ხატია ბაშარული**.

„ქეთევან მასწავლებელმა ემოციურად დაასრულა საღამო!” – **ნინო გუნია**.

„დიდი მადლობა, რომ გამიცოცხლეთ მამა! დღეს მე ბედნიერი ვარ – ასეთი ლამაზი გარემო, ასეთი ნიჭიერი ბავშვები, ასეთი შემოქმედებითი მიდგომა, ესთეტიკური დახვეწილობა იშვიათია... მადლობა პედაგოგს, ქალბატონ ქეთევან მუმლაძეს ასეთი ღვაწლისთვის, დიდი პატივისცემით... სად არ ვყოფილვარ, მაგრამ მსგავსი შემოქმედებითი მუხტი, ემოცია, შთაბეჭდილება არ მიმიღია. გაიხარეთ! გმადლობ!“ – ეს სიტყვები პოეტის ქალიშვილს მანანა ასათიანს ეკუთვნის, რომელმაც ბავშვებთან ბევრი მოგონება გააცოცხლა.

აი, რას ამბობს მწერალი **ვაჟა ჩორდელი**: „უნდა გამოგიტყდეთ, მოლოდინს გადააჭარბა საღამომ. მაინც რა იყო? ჰარმონია, კითხვის კულტურა, მამულის სიყვარული! ერთი სიტყვით, ლადო ნამდვილად გაცოცხლდა. ქალბატონო ქეთევან, ასეთი საღამოების მოწყობა არ შეწყვიტოთ, ბავშვების მოქცევის შესანიშნავი საშუალებაა.“

„სიტყვები არ გვყოფნის ემოციების გამოსახატავად. შეუდარებელი რამდენიმე საათი გავატარეთ №143 სკოლში.“ – გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები – **ნინო ჟღენტი, ირმა ბაციკაძე**.

„შესანიშნავი ღონისძიება. გულანთებული ბავშვები. გონიერი, ბრძენი პედაგოგი. ჩემ წინაშე ნამდვილი მსახიობები იდგნენ“ – **გრიგოლ ჯაფარიძე**, თსუ პროფესორი, მ/კანდიდატი.

„თქვენ, როგორც ყოველთვის, არაჩვეულებრივები იყავით. მეამაყება,რომ ვარ იმ სკოლის დირექტორი, სადაც თქვენნაირი მოსწავლეები სწავლობენ. სიმართლე გითხრათ, არ გამკვირვებია, რომ ღონისძიება იყო ასეთი აკადემიური, დახვეწილი, შემოქმედებითი... მე სხვას არც ველოდებოდი ქეთევან მასწავლებლისგან. თქვენს კლასთან სტუმრობა ყოველთვის მიხარია. დიდი მადლობა უდიდესი სიმოვნებისათვი!.” – **მაია მელქაძე**, სკოლის დირექტორი.

„ფრიად რომანტიულ, ლიტერატურულ სალონში აღმოვჩნდი. სულ სხვა ბავშვები: დინჯები, ლამაზები, ჭკვიანები. ცრემლმორეული შევყურებდი ირგვლივ ყოველივეს. მიყვარხართ და მიხარია, რომ ჩემს პატარებს ასეთი მასწავლებელი ჰყავთ! გმადლობთ ამ სასიამოვნო წუთებისათვის, რომელიც არასოდეს დამავიწყდება, ასეთი გარემოს შექმნას მხოლოდ თქვენ თუ შეძლებდით, ქალბატონო ქეთევან.” – VII[1] კლასის მასწავლებელი **ლია გაგელიძე**.

ბედნიერი ვარ, მშობლებს საკუთარი შვილების გარდასახვის დიდი სიხარული რომ მივანიჭე და ჩემს კოლეგებს სიამოვნების 2 საათი ვაჩუქე.

...ყველა კეთილ ზღაპარს აქვს დასასრული... და აი, ეს ზღაპარიც დასრულდა, ჩემო ძვირფასებო! მაგრამ არასდროს დასრულდება ქართული პოეზიის საგალობელი... დიდი მადლობა ყველას! ისევ და ისევ ლადოს სიტყვებით მინდა დავასრულო:

„მე თქვენ მიყვარხართ
და საქართველო
უთქვენოდ, აბა,
რამ გამახაროს!...“

ქეთევან მუმლაძე
თბილისის №143 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ინფორმაცია

ერთად „ჯანსაღი მომავლისათვის!..“

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლისა და საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელთა ინიციატივით, მუზეუმის ეზოში გაიმართა შემოდგომისადმი მიძღვნილი კომპლექსური ღონისძიებები „შემოსულა შემოდგომა“ – გამოფენა, ლიტერატურული მარათონი, ინტელექტთამაში და მხატვრული პროგრამა.

ღონისძიებებში მონაწილეობდნენ: საგარეჯოს №1, №2, №3, №4, სოფლების – შიბლიანის, მზისგულის, დიდი ჩაილურის, პატარა ჩაილურის, წყაროსთავის, ბადიაურის, ყანდაურის, პატარძეულის, მანავის, გომბორის, უჯარმის საჯარო სკოლები და პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმი.

– თითეულმა სკოლამ მოაწყო თავისი კუთხე შემოდგომის ნობათით და დამსწრე საზოგადოებისთვის მხატვრული ნომერი წარადგინა. სოფელ პატარძეულის ქართულ-რანგული სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეებმა მოწვეული სტუმრები ღვინის დეგუსტაციაზე მიიპატიჟეს და, ამავდროულად, მოაწყვეს ფილმის „ზედაშე“ პრეზენტაცია;

– ჩატარდა ლიტერატურული მარათონი „შემოსულა შემოდგომა“, რომლის მონაწილეებმა წერის მოხერხებულ ფორმას მიაგნეს და საკმაოდ ორიგინალურად მოთავსდნენ ამფითეატრის სკამებზე. მარათონში გამარჯვებულებს ჟიური, **ნაზი არჩუაძის** (საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი), **თეა გურგენიძის** (შემოქმედი პედაგოგი) და **ეთერ ივანელაშვილის** (ახალგაზრდა შემოქმედი, სტუდენტი), შემადგენლობით უახლოეს მომავალში გამოავლენს;

– გაიმართა ინტელექტუალური თამაშები, გამარჯვებული გამოვლინდა – ქალაქ საგარეჯოსა და პატარძეულის საჯარო სკოლები, რომლებმაც თანაბარი ქულები მოიპოვეს;

– მუზეუმის ეზოში, საკმაოდ დიდ ფართობზე, მოეწყო ნახატების გამოფენა. გარდა საშემოდგომო ნამუშევრებისა, პატარა ხელოვანების მიერ წარმოდგენილი ნამუშევრები – „ჩემი ქვეყნის კულტურა“, „საკუთარ მიწაზე“ – შეფასდა კომპეტენტური ჟიურის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხატვის წრის პედაგოგი, მხატვარი **ჯემალ მახარიკაშვილი**, მხატვრები: **თამარ იორამაშვილი** და **ნინო ჯანგულაშვილი**. შერჩეული ნახატები, თემატურად, გაიგზავნება ბელორუსიაში, მინსკის მე-8 საერთაშორისო გამოფენაზე – „საკუთარ მიწაზე“ და ჩინეთში, ჰონგ-კონგში, საერთაშორისო გამოფენაზე „ჩემი ქვეყნის კულტურა“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორის მოადგილე, ქალბატონი **ნათელა ჩხეიძე**, საორგანიზაციო განყოფილებიდან კურატორები: ქალბატონი **მედეა ჩიქოვანი** და **ნანა მახარაძე**.

დასასრულს, ღონისძიებაში მონაწილე ბავშვებს და უფროსებს სიგელები და მადლობის ფურცლები გადაეცათ.

* * *

8 დეკემბერს, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დარბაზში, შიდსთან ბრძოლის კვირეულთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის №1, №2, №3, სოფლების – მანავის, დიდი ჩაილურის, პატარძეულის, გომბორისა და ბადიაურის საჯარო სკოლებს შორის ლიტერატურული მარათონი გაიმართა. კონკურსი მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ორგანიზებით ჩატარდა, კონკურსანტებისთვის შეირჩა სპეციალური თემა – „ჯანსაღი მომავლისათვის“. საკონკურსო ნაშრომის დასაწერად და პლაკატების დასახატად მონაწილეებს 2 საათი ჰქონდათ გამოყოფილი, დარიგდა ბუკლეტები, რომელიც საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საგარეჯოს ფილიალის მიერ შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დამზადდა. გამარჯვებულებს ფასიანი საჩუქრები და სიგელები გადაეცათ, დაჯილდოვდნენ ასევე მიმდინარე წლის ნოემბრის თვის საშემოდგომო ლიტერატურული მარათონის – „შემოსულა შემოდგომა“ – გამარჯვებულებიც. I ადგილი წილად ხვდა ბადიაურის საჯარო სკოლის მოსწავლეს **ანი მირიანაშვილს**, II ადგილი დაიკავა **გიორგი უცუნაშვილმა** – მანავის საჯარო სკოლის მოსწავლემ, ხოლო III ადგილი სამ გოგონას – **მაგდა მამისაშვილს, ეთერ ზალიკაშვილს** (საგარეჯოს №1 საჯარო სკოლა) და **მაგდა უსტიაშვილს** (პატარძეულის საჯარო სკოლა) – ხვდათ წილად.

ამავე დღეს, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დარბაზში, ინტელექტთამაში ჩატარდა, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის №1, №2, №3, №4, სოფლების – გიორგიწმინდის, დიდი ჩაილურის, წყაროსთავისა და მზისგულის საჯარო სკოლები და საკმაოდ დაძაბული და საინტერესო თამაში შემოგვთავაზეს. ინტელექტთამაშს, ტრადიციულად, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ინტელექტკლუბის ხელმძღვანელი **ბადრი დრეიძე** უძღვებოდა.

წლის ბოლოს დაგეგმილია ინტელექტთამაშის შემაჯამებელი ღონისძიება. გამარჯვებულ სკოლებს ჟიური გამოავლენს.

სულ მალე, ახალი, 2013 წელი შემოაბიჯებს დედამიწაზე... საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი ჯგუფი კვლავ ღონისძიებათა სიმრავლეს შესთავაზებს რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობას. გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და ახალი წელი მივულოცოთ თქვენი გაზეთის შემოქმედებით გაერთიანებას, ყველა პედაგოგს, აღმზრდელს და ჩვენს მომავალს – მოსწავლე ახალგაზრდობას, სრულიად საქართველოს! წარმატებების, სიუხვის, ბარაქის, სიმშვიდის წელი ყოფილიყოს!

თამარ ჯაბადარი
საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი

იუბილე

სიყვარულით და სიკეთით განვლილი გზა

„უსაყვარლესი ადამიანი, ზრდილობიანი, გულწრფელი, კრისტალურად სპეტაკი, ყველაფერში სანდო, მაღალი ადამიანური სულის, რაინდული სულისკვეთების, შესანიშნავი წიგნების, ნარკვევების, წერილების ავტორი. კაცი, რომელსაც უყვარს მხატვრული ლიტერატურა, უყვარს მწერალი, ადამიანები, – ასეთი გახლავთ აკაკი ზოიძე, კარგი პედაგოგი და სანიმუშო მამულიშვილი“, – წერდა ცნობილი პოეტი **მამაი ვარშანიძე**.

პოეტი **ემენ დავითაძე** კი ასე ამკობს ბატონ აკაკის: *„უკეთილშობილესი – ადამიანობით, უღალატო – კაცობით, სამაგალითო ცხოვრებით“.*

აკაკი ზოიძე ისტორიული ჭვანის ხეობის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ბრილში დაიბადა. წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების პედაგოგოკისა და მეთოდიკის ფაკულტეტი. შვიდი წლის განმავლობაში დიდი მონდომებით იღვწოდა მშობლიურ სოფელში. 1971 წლიდან აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში დაწყებითი განათლების მეთოდური კაბინეტის გამგედ დააწინაურეს და მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობა ჩააბარეს – აჭარაგურიისა და ფოთის დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მასწავლებლობა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, საინოვაციო საქმიანობის, ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიების გაცნობა და მეთოდური დახმარების უზრუნველყოფა. აკაკი ზოიძე, სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, უნარიანად ხელმძღვანელობდა აღნიშნულ კაბინეტს. სწორედ ამ პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ჩამოყალიბდა იგი, როგორც კვალიფიციური მეთოდისტი, ორგანიზატორული ნიჭით და ნოვატორობით გამორჩეული ხელმძღვანელი. დაწყებითი განათლების კაბინეტი, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული დაოსტატების ერთ-ერთ ძლიერ და მისაბაძ კერად იქცა. მისი მუშაობა განზოგადდა ყოფილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია აკაკი ზოიძის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტზე. მისი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით მრავალფეროვანი, მიზანმიმართული და თანმიმდევრული ღონისძიებები ტარდება ენთუზიასტ, შემოქმედ პედაგოგთა გამოცდილების განზოგადების, ახალი წიგნების წარდგინების, ერის სასიქადულო შვილების, ამაგდარი პედაგოგების, მეცნიერების ღვაწლისა და ამაგის წარმოსაჩენად, იღვწის იმისათვის, რომ ყველას დამსახურებულად მიაგოს პატივი. ბევრი ამაგდარი, მაგრამ ჩრდილში მყოფი ადამიანის ღვაწლი და ამაგი სამზეოზე გამოუტანია და მისი მდიდარი გამოცდილება სხვებისთვის გაუზიარებია.

„ბატონ აკაკის მრავალ ადამიანურ თვისებათა შორის განსაკუთრებით გამოვყოფდი ღვაწლმოსილ პედაგოგთა პატივგების უნარს. მას შეუძლია მოიძიოს და მარგალიტის მძივებად აკინძოს ადამიანთა ღვაწლი და წარმოაჩინოს ღირსეულნი, რამეთუ სხვათა ღირსების წარმოჩენა ღირსეულთ შეუძლიათ“, – წერს ჩაქვის საჯარო სკოლის დირექტორი, ჟურნალისტი **ტარიელ ქათამაძე.**

1976-1992 წლებში აკაკი ზოიძე ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრაზე პედაგოგიკაში კითხულობდა ლექციებს. ხოლო 1993 წლიდან შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტზე კითხულობს ლექციებს. იგი ასევე ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ბათუმის სამედიცინო-პედაგოგიურ კოლეჯში – წარმატებით უძღვება კოლეჯის სასწავლო მუშაობას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბატონი აკაკის მოღვაწეობა ჟურნალისტიკაში. იგი კალმის ოსტატიცაა. ათეული წლების განმავლობაში ნაყოფიერად იღვწოდა გაზეთ „სახალხო განათლების“ საკუთარ, ხოლო გაზეთ „აჭარის“ საზოგადოებრივ კორესპონდენტად. არის შესანიშნავი წიგნების, მეცნიერული ნაშრომების, ნარკვევებისა და სტატიების ავტორი, რომელთა რიცხვი 900-მდე აღწევს. ყველა მათგანი გამოირჩევა მეცნიერული ანალიზით, სიღრმით, პრაქტიკული ღირებულებებით – სწავლა-აღზრდის ეროვნულ და ისტორიულ საფუძვლებს ეყრდნობა და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებას ემსახურება.

აკაკი ზოიძის, როგორც პიროვნებისა და პროფესიონალის, აღიარების გამოხატულება იყო ის, რომ მან ყოფილი სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის მაღალი ჯილდო დაიმსახურა.

აქვე უნდა აღინიშნოს ღვაწლმოსილი მეცნიერ-პედაგოგის ცხოველი ინტერესი პედაგოგიკის კლასიკოსის იაკობ გოგებაშვილის იდეებისა და მისი მდიდარი მემკვიდრეობისადმი. იგი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა დაეხმაროს აღმზრდელ-პედაგოგებს გოგებაშვილის მდიდარი, პედაგოგიური ნააზრევის სკოლის პრაქტიკაში დამკვიდრებისათვის.

აკაკი ზოიძე დაჯილდოებულია „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, პედაგოგებისათვის სანუკვარი – იაკობ გოგებაშვილის მედლით, მინიჭებული აქვს აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება და ზაქარია ჭიჭინაძის სახელობის პრემია, არის განათლების აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი, არჩეულია საქართველოს განათლების მეცნიერებათა და ფაზისის აკადემიების აკადემიკოსად.

აკაკი ზოიძეს ჰყავს მშვენიერი ოჯახი. მეუღლე – **მერი ხიმშიაშვილი** ღვაწლმოსილი პედაგოგია, იღვწის ბათუმის №11 საჯარო სკოლაში დირექტორის მოადგილედ. ჰყავთ ქალ-ვაჟი, როინი – ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულია, მაიკო – წარჩინებული იურისტი.

აკაკი ზოიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ცნობილმა მეცნიერ-პედაგოგმა **ზურაბ კომახიძემ** მიუძღვნა წიგნი „გზა ცხოვრებისა“.

ჩვენს კოლეგასა და მეგობარს ვულოცავთ 70 წლის იუბილეს. კვლავაც დიდხანს შემოქმედებით წვას, წინსვლას, წარმატებებს ვუსურვებთ ერისა და სამშობლოს სამსახურში.

პროფესორები:
რევაზ უზუნაძე,
სერგო დუმბაძე,
მერაბ მეგრელიშვილი,
შოთა მახარაძე

იურისტის კონსულტაცია

რა რეკომენდაციებს აძლევს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა უფლებების უკეთესად დაცვის მიზნით?

1.5 №959 ბრძანების მე-6 მუხლს მიზანშეწონილია დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 პუნქტი: **საჯარო სკოლის პედაგოგს უფლება აქვს, არასაგაკვეთილო საათებში ფიზიკურად არ იმყოფებოდეს სკოლაში, თუ იგი აღწევს ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით დასახულ მიზნებს სწავლებისას.**

დასაბუთება: ბოლო პერიოდში შეინიშნება მავნე ტენდენცია დირექტორების მხრიდან, კერძოდ, ისინი აიძულებენ მასწავლებლებს არასაგაკვეთილო საათებში, დილიდან საღამომდე სკოლაში ფიზიკურად ყოფნას, რითაც არღვევენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის №576 ბრძანების მოთხოვნებს. სპმთპ-ს აკითხავენ მასწავლებლები და უკმაყოფილებას გამოთქვამენ აღნიშნულთან დაკავშირებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №576 ბრძანების ინსტრუქციის თანახმად, „მიუხედავად იმისა, რომ ხელფასი მასწავლებელს ეძლევა არა მხოლოდ საგაკვეთილო საათების ჩატარებისთვის (სრული დატვირთვის მასწავლებელს 36-საათიანი სამუშაო კვირისთვის), ეს არ ნიშნავს, რომ მასწავლებელი სამუშაო საათებში (საგაკვეთილო საათების გარდა) აუცილებლად იმყოფებოდეს სკოლაში. მასწავლებელს უფლება აქვს საერთო სამუშაო (პედაგოგის განათლების დონის ამაღლება, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა, სასწავლო მასალის მომზადება და სხვ.) შეასრულოს სახლში. თუ სკოლის ადმინისტრაცია თვლის, რომ მასწავლებელი ვერ აღწევს სასურველ შედეგებს სწავლებისას, დირექცია უფლებამოსილია მასწავლებელს მოსთხოვოს არასაგაკვეთილო საათების პერიოდში სკოლაში მუშაობა სწავლების შედეგების გაუმჯობესებამდე“.

მიუხედავად აღნიშნული საკითხის №576 ბრძანებით მეტ-ნაკლები მოწესრიგებისა, მიზენშეწონილია, №959 ბრძანებამ ცალსახად განსაზღვროს მასწავლებლის უფლება არასაგაკვეთილო საათებში არ იმყოფებოდეს სკოლაში, თუ იგი აღწევს სასურველ შედეგებს სწავლებისას. პედაგოგთა პროფკავშირს მიაჩნია, რომ თუკი მასწავლებელს არ აქვს ჩამორჩენა სწავლებისას და აღწევს ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით დასახულ მიზნებს, იგი არ უნდა იყოს ვალდებული სკოლაში იმყოფებოდეს არასაგაკვეთილო საათების დროს. მასწავლებელს შეუძლია საერთო სამუშაო (პედაგოგის განათლების დონის ამაღლება, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა, სასწავლო მასალის მომზადება და სხვა) შეასრულოს სკოლის გარეთ.

1.6 №959 ბრძანების მე-10 მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი: **პედაგოგთან შრომითი ურთიერთობის მოშლა შესაძლებელია პედაგოგთა პროფკავშირთან შეთანხმებით, საკითხის პედაგოგიურ საბჭოსა და სამეურვეო საბჭოზე განხილვის შემდეგ.**

დასაბუთება: დღეს მოქმედი შრომის კოდექსით, საჯარო სკოლის დირექტორს უფლება აქვს, მოშალოს პედაგოგთან შრომითი ურთიერთობა დაუსაბუთებლად, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე (საქართველოს შრომის კოდექსისი 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი – შრომითი ხელშეკრულების მოშლა), რითაც უხეშად ილახება მასწავლებელთა შრომითი უფლებები. ბოლო წლების განმავლობაში, უამრავი პედაგოგი გათავისუფლდა სამსახურიდან საჯარო სკოლების დირექტორთა მიერ საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის აქტიური გამოყენებით.

სპმთპ-ის აზრით, №959 ბრძანებაში შეთავაზებული ცვლილება ხელს შეუწყობს როგორც სკოლის კოლეგიური ორგანოების (პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო) როლის გაძლიერებას, ისე პროფესიული კავშირის მნიშვნელობის ზრდას მასწავლებელთა უფლებების დაცვის საქმეში. ამ ყველაფრის შედეგი კი იქნება დირექტორთა ერთპიროვნული გადაწყვეტილებებისაგან უფრო მეტად დაცული პედაგოგი.

1.7. №959 ბრძანების მე-10 მუხლს მიზნშეწონილია, დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი: **საჯარო სკოლის დირექტორს არ აქვს უფლება, პედაგოგთან შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა მასწავლებლის მცირე საათობრივი დატვირთვის გამო.**

დასაბუთება: ბოლო პერიოდში, სპმთპ-ს აკითხავენ პედაგოგები, რომლებიც გათავისუფლდნენ სამსახურიდან, სკოლაში მცირე სააათობრივი დატვირთვის გამო.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №576 ბრძანების ინსტრუქცია ითვალისწინებს მასწავლებლის სამი ტიპის დატვირთვას: ნაწილობრივს (18-ზე ნაკლები საგაკვეთილო საათი კვირაში), სრულს (18 საგაკვეთილო საათი კვირაში) და სრულზე მეტს (19 ან მეტი საგაკვეთილო საათი კვირაში).

ვინაიდან, მასწავლებელთა ნაწილობრივი სამუშაო დატვირთვა (18-ზე ნაკლები საგაკვეთილო საათი კვირაში) თავად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №576 ბრძანების ინსტრუქციით არის გათვალისწინებული, მცირე საათობრივი დატვირთვის ნიშნით პედაგოგის სამსახურიდან გათავისუფლება ეწინააღმდეგება მინისტრის №576 ბრძანებას.

ამასთანავე, მცირე საათობრივი დატვირთვის ნიშნით მასწავლებლის სამსახურიდან გათავისუფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციითა და შრომის კოდექსით აკრძალულ დისკრიმინაციას, ვინაიდან სკოლის დირექტორი, როგორც დამსაქმებელი, უთანასწოროდ, თვითნებურად ანსხვავებს მცირე საათობრივი დატვირთვის მქონე პედაგოგებს სხვა მასწავლებლებისგან, წყვეტს მათთან შრომით ურთიერთობას მცირე საათობრივი დატვირთვის გამო, რითაც ამ კატეგორიის მასწავლებელთა მიმართ ხდება ისეთი პირობების შექმნა, რომელიც პირდაპირ აუარესებს მათ მდგომარეობას სხვა პედაგოგებთან შედარებით.

სპმთპ-ის მიერ შეთავაზებული ცვლილება კი ხელს შეუწყობს დირექტორების მიერ პედაგოგთა მიმართ თანასწორ და სამართლიან მოპყრობას.

(რეკომენდაციები გაგრძელდება)

თამარ ავალიანი
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

თვალსაზრისი

მასწავლებელი ხიდია სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის

I. აღზრდის ტრაგედია

აღზრდის სოციალურობის, მარადიულობის ბუნებიდან გამომდინარე კაცობრიობის წინაშე აღზრდაზე უფრო მნიშვნელოვანი და რთული პრობლემა არ არსებობს.

ეყრდნობოდა რა პედაგოგიკის ემპირიულ გამოცდილებას, გერმანელი პედაგოგი ი. ჰერბარტი თავის „პედაგოგიურ აფორიზმებში“ ამტკიცებდა: „სწავლება ზნეობრივი აღზრდის გარეშე არის მიზანს მოკლებული საშუალება, ზნეობრივი განათლება სწავლების გარეშე არის საშუალება მიზნის გარეშე“. თითქმის იმავეს იმეორებდა დისტერვეგი.

შეცდომაა ვიფიქროთ, რომ ზნეობრივი აღზრდა მხოლოდ კლასგარეშე მუშაობის პროცესში, სპეციალური ღონისძიებების საშუალებით ხორციელდება. შესაძლებელია, მასწავლებელმა აკაკის „გამზრდელის“ სწავლებისას სპეციალურად ხაზი გაუსვას ძიძისშვილის (საფარ ბეგი) სექსუალური ვნების სავალალო შედეგებს, მაგრამ თუ კლასგარეშე მუშაობის სახით ბავშვებს თეატრალიზებულ სპექტაკლს მოამზადებინებს, მაშინ როლთან დაკავშირებული მოლოდინი უფრო ადვილად იქცევა ზნეობრივი ქცევის მოტივად (მ. გომელაური) „აღმზრდელობითი პროცესის დიალექტიკური ბუნებიდან გამომდინარე. ყოველგვარი დოგმატიკური მიდგომა, გაუთვალისწინებლობა მდგომარეობისა, თუნდაც აი ამ წუთიერი მოთხოვნისა, ყოველთვის მანკიერი იქნება“ (ვ. კრაიდლერი). მხედველობაშია მისაღები „ის უფსკრული და ის უძირო ზღვა, რომელიც აღმზრდელის და აღსაზრდელის მისწრაფებათა შორის ჩაგუბებულია და მათს ძირითად გაუგებლობას საფუძვლად უდევს“ (დ. უზნაძე). საქმე იმაშია, შეუძლია თუ არა მოზარდს გააცნობიეროს აღზრდის მიზანი, მის საკეთილდღეოდ მიმართული მოღვაწეობა აღმზრდელისა და ღირსეულად შეაფასოს? საქმე იმაშია, რომ „ყოველი აღზრდა მომავალს ემსახურება“, აღმზრდელი დღევანდელი მომენტით კი არ ხელმძღვანელობს, მომავალზეა ორიენტირებული... აღსაზრდელი კი „სულ სხვაგვარად ფიქრობს და სულ სხვას მოითხოვს. იგი მომენტით ცხოვრობს და მომენტის მონაა. ამიტომ იგი ერთი წუთითაც კი არ დაუთმობს თავის აწმყოს. მთელი მისი სიამოვნება – არასიამოვნებებით შეიცვლება და მუდამ სასტიკი წინააღმდეგი იქნება ყველა იმისი, ვინც ამ მხრივ ბუნებრივ სურვილთა განწყობილებას წინ გადაეღობება“ (დ. უზნაძე). ამრიგად, აღზრდა თავის თავში მოიცავს დიდ სიძნელეს, რომელსაც დიმიტრი უზნაძემ „აღზრდის ტრაგედია“ უწოდა, იქვე გვესაუბრება მოსწავლე-მასწავლებლის ფლიქოლოგიური წინააღმდეგობის შეუთავსებლობის, შესუსტების დაძლევის გზებზე.

II. ეკონომიკური კულტურის აღზრდა

ნებისმიერი საზოგადოებისთვის და მმართველობის ნებისმიერი ფორმისთვის შესაბამისი განათლება უპირველესი ამოცანაა, – ამბობდა არისტოტელე. ამ აუცილებლობითაა განპირობებული განათლების პერიოდული კრიზისი და მისი თანმდევი კითხვები: რა ვასწავლოთ, როგორ ვასწავლოთ.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური მრავალფეროვნება, ინტეგრირება მსოფლიო მეურნეობის სისტემაში, აუცილებელს ხდის მოსწავლეთა მომზადებას ამ მიმართულებით. ეკონომიკური კულტურის ფორმირება, საბაზრო ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, სასკოლო ასაკშივე უნდა დაიწყოს, იმ ასაკში, როცა ყალიბდება ცხოვრებისეული პრინციპები, ფასეულობები, გეგმები. „ის, ვისაც არა აქვს ეკონომიკური ცოდნა, ჰგავს ყრუს, რომელიც საერთო ორკესტრში ცდილობს დაკვრას“ (პ. სამუელსონი). ეკონომიკის სწავლებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს ეკონომიკური აზროვნების, ეკონომიკური კულტურის, ეკონომიკური აღზრდის უდიდეს მნიშვნელობაზე.

ეკონომიკური აზროვნება ის შეხედულებები და წარმოდგენებია, რომლებიც მოსწავლეს საოჯახო მეურნეობაში, ოჯახის ბიუჯეტში პრაქტიკული გამოცდილებით, ოჯახის გარეთ ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობით, ყოველდღიური ცხოვრებისეული კავშირების საფუძველზე უყალიბდება. ეკონომიკური აღზრდა მიზანმიმართული ზემოქმედებაა, რომელიც ხელს უწყობს ზნეობრივი მეურნისათვის საჭირო ცოდნის, უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. მისი მთავარი ამოცანაა: „ოქროს ზომიერების“, ყაირათიანობის, დისციპლინის, ორგანიზებულობის, შრომისმოყვარეობის აღზრდა. ეკონომიკური კულტურის ძირითადი ელემენტია „ოქროს ზომიერებაზე“ გათვლილი ფასეულობები. სწორედ მათ თავისებურებებზეა დამოკიდებული, რა ცოდნას და უნარ-ჩვევებს დააგროვებენ მოსწავლეები ეკონომიკის სწავლებისას. სოციალური ურთიერთქმედებისას, ფასეულობებზე დაყრდნობით, ადამიანები კრიტიკულად აფასებენ გარშემო მყოფთა საქმიანობას, მსჯელობენ იმაზე, რა არის კარგი და რა არის ცუდი.

ა) პირამიდის ქვედა დონე – მასობრივი ეკონომიკური კულტურა – მომხმარებელთა და დაქირავებულ მუშაკთა მასის ფასეულობები, ცოდნა, უნარ-ჩვევები და წარმოდგენებია, რომლებიც გადაწყვეტილებებს მხოლოდ საკუთარი თავისა და ოჯახის წინაშე იღებენ. ამ დონეზე ცოდნა, როგორც კულტურის ელემენტი, პრაქტიკულად არ ზემოქმედებს ეკონომიკურ ქცევაზე, რომელიც, პირველ რიგში, ფასეულობებით და უნარ-ჩვევებითაა განპირობებული. უნარ-ჩვევებს ადამიანები გარშემომყოფთა წარმატებული ქცევის იმიტაციის საფუძველზე იძენენ, ამასთან იმიტაცია, როგორც წესი, კრიტიკული გააზრებისა და შეფასების გარეშე ხდება. სოციალური ცნობიერების კრიზისის და ეკონომიკური მოწყობის მკვეთრი გადანაწილების პირობებში, როცა საზოგადოებაში ფასეულობათა გადაფასება ხდება, ასეთი იმიტაცია მასობრივი არაეფექტიანი ქცევის მიზეზი შეიძლება გახდეს.

ბ) პირამიდის მეორე დონე მენეჯერებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ეკონომიკური კულტურაა. ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებები ვრცელდება ადამიანებზე, რომლებმაც მათ საკუთარი ინტერესების განხორციელება მიანდეს, გადაწყვეტილების მიღების უფლება მისცეს.

გ) პირამიდის მესამე დონე – თეორიული ეკონომიკური კულტურა – პროფესიონალ ეკონომისტთა კულტურაა, რომლითაც ხელმძღვანელობენ გადაწყვეტილების მიმღებნიც და მასობრივი ეკონომიკური ქცევის წარმომადგენლებიც. სხვათა გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე, პროფესიონალი ეკონომისტები თვითონ როდი იღებენ გადაწყვეტილებებს, ისინი განაზოგადებენ ინფორმაციას და გვთავაზობენ გადაწყვეტილებების მზა ბლოკსქემებს.

რატომ არის მნიშვნელოვანი თანამედროვე მოზარდებში ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა, მათი ეკონომიკური აღზრდა, ეკონომიკური კულტურის ფორმირება?

ბავშვის გარემომცველი სამყარო, ასაკთან ერთად, თანდათან სცილდება მისი მყისიერი გარემოს ფარგლებს. გარემოში ურთიერთობა შეიძლება წარმოვადგინოთ რუსული თოჯინის „მატრიოშკას“ საშუალებით. მოზრდილი „მატრიოშკა“ იხსნება და მასში უფრო პატარა თოჯინაა მოთავსებული, მასში კიდევ უფრო პატარა და ა.შ., სანამ სულ პატარამდე არ მივალთ, რომელიც, პირობითად,ბავშვად შეიძლება წარმოვიდგინოთ, ხოლო სხვადასხვა ზომის გახსნილი თოჯინები უახლოესიდან შორეულ კონტექსტებამდე (გ. ბრონფენბრენერი).



სქემა – ბავშვის კონტექსტები

წარმოდგენილი სქემის თითოეულ დონეზე თანდათან ყალიბდება ფასეულობითი ორიენტაცია, ანუ მზაობა, განწყობა საგნებისა და მოვლენებისადმი, მოთხოვნილებებისა და საკუთრების ფლობისა, სიკეთის თვალსაზრისით.

გონივრული, ნამდვილი მოთხოვნილებები შესაბამისობაშია საკაცობრიო მნიშვნელობის ფასეულობებთან. ერთ-ერთ ასეთ ფასეულობად „ოქროს ზომიერება“ მიიჩნევა, ანუ ისეთი მოხმარება, რომელსაც ადამიანებისთვის ზიანი არ მოაქვს (ცნობილია, რომ ზომიერების დარღვევას ჭამისას, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა მოჰყვება, იგივე შეიძლება ითქვას მატერიალურ – სამომხმარებლო ზომიერების დარღვევაზე, – მას ხშირად „სულის დაშლა“ მოჰყვება). ჯანსაღი ცხოვრების წესში „ზედმეტის კატეგორია“ ვერ თავსდება. „ყოველგვარი დაკმაყოფილება სიკეთე არაა. სიკეთეა იქ, სადაც ადგილი არა აქვს გადაჭარბებას, მაგრამ თუ საგანი უფრო მეტია, ვიდრე უნდა იყოს, მაშინ ბოროტებას ექნება ადგილი“ (არისტოტელე). „ოქროს ზომიერებაზე“ თავისი აზრი გამოთქვა ქართველმა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა: „ზომიერება ნამდვილი ღმერთია და ვინც მას მიაგნო, ამქვეყნადაც ცხონებულია“.

მოთხოვნილებებისა და მოხმარების უკულტურობას უდიდესი მოაზროვნე, ნეოფროიდელი ერიხ ფრომი ხსნის კაპიტალიზმის, კერძო საკუთრების ბუნებით, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია შემდეგი ფორმულა: „მე ის ვარ, რასაც მოვიხმარ“... საკუთრების შეძენა და ჩემი განუსაზღვრელი უფლებაა, დავიცვა, რაც შევიძინე, – სხვა ყველაფერს გამორიცხავს. ის არ მოითხოვს ჩემგან ძალისხმევას, რათა პროდუქტიულად გამოვიყენო ეს საკუთრება. როგორც ბუდიზმი, ისე იუდაიზმი და ქრისტიანობა ამ წესს სიხარბეს და გაუმაძღრობას უწოდებს... საბაზრო ეკონომიკის პირობებში ადამიანის ეკონომიკური ქცევა გამოცალკევდა ეთიკისა და ადამიანური ფასეულობებისაგან... ბაზარი უგრძნობელი, გულგრილი მექანიზმია, მას არ გააჩნია სინდისი, არ ცნობს მორალურ ნორმებს, რაც განაპირობებს შემოსავლების უთანასწორობას.

ზნეობრივ ფასეულობებზე ბევრადაა დამოკიდებული ადამიანთა ცხოვრების წესი, ხასიათი. საკუთრებასთან მიმართებით ზნეობრივი ფასეულობები და ანტიფასეულობები შეიძლება ასე გამოვხატოთ:

ფასეულობები	ანტიფასეულობები
თავისუფლება	ჩაგვრა
ალტრუიზმი	ეგოიზმი
ზომიერება	სიხარბე

როდესაც საკუთრებასთან, დოვლათთან მიმართებით ვეხებით ზნეობრივ ფასეულობებსა და ანტიფასეულობებს, ისმის კითხვა – რა მიზნით გამოიყენება საკუთრება, დოვლათი. როგორ მოვიხმართ?

„დოვლათის მოხმარების ამოსავალია მოთხოვნილება. სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით მოთხოვნილება ამა თუ იმ პროდუქტის მოხმარებისკენ მიდრეკილებაა, ადამიანის სარგებლიანობით – მოტივაციური დამოკიდებულებაა ნივთებისადმი თუ არანივთიერი, სულიერი სიკეთისადმი. ამაშია მოხმარების ამბივალენტობისა და ორპოლუსიანობის ბუნება. მოხმარება შეიძლება სიკეთისკენაც იყოს მიმართული და ზიანისკენაც, ე.ი. რა მიზნით, დანიშნულებით გამოიყენება დოვლათი, სოციალური სიკეთეა თუ არა“ (გ. მალაშხია).

მოთხოვნილებები მრავალფეროვანია, სოციალური სიკეთის თვალსაზრისით კი – არაერთგვაროვანი. დოვლათის მოხმარების კულტურა, რომელიც ეკონომიკური კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია, უშუალოდ მიუთითებს ადამიანის ღირსებაზე. სოციალურ, პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა გონივრული და არაგონივრული მოთხოვნილებების ცნებას.

არაგონივრული მოთხოვნილებები ხელს უწყობს ეგოიზმს, სიხარბეს, ადამიანში მგლური ბუნების გამოვლენას. საბაზრო ურთიერთობები, რომლებიც შინაგანი მექანიზმით, რეკლამითა და სხვა საშუალებით აღვივებს სამომხმარებლო ჟინს, წარმოშობს „სამომხმარებლო დოღს“, რომლის დროსაც ადამიანები კარგავენ ზნეობრივ ორიენტაციას, რაც დიდი ზიანის მომტანია კაცობრიობისათვის (გ. მალაშხია). ამიტომ მკვიდრდება გამოთქმა – „ოქროს ზომიერება“. „ოქროს ზომიერებაში“ აკუმულირებულია ადამიანთა სიბრძნე, ცხოვრებისეული გამოცდილება, ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტილებების მიღების ერთ-ერთი გზა – ეკონომიკური კულტურაა. „ადამიანი ბუნების უზარმაზარი პოტენციური ძალაა“... სიხარბე და შური გამძლეა, არა თავისი ვერაგული ძალით, არამედ იმით, რომ ადამიანისთვის ძნელია წინ აღუდგეს საზოგადოების მხრიდან ზეწოლას, ძნელია არ იყო მგელი მგელთა შორის, მაგრამ საკმარისია შეიცვალოს თვით ფასეულობათა სისტემა... და მაშინ გადასვლა ეგოიზმიდან ალტრუიზმზე არც ისე ძნელი იქნება (ე. ფრომი).

ზედმეტი ორიენტაცია ქონებისკენ, მოხმარებისკენ, ბუნებრივი სიმდიდრის დაუფლებისკენ კაცთა მოდგმას დეგრადაციით და დაღუპვით ემუქრება, რომლის ნიშნებია:

1. სოციალური აფეთქებები, რომელსაც იწვევს სიმდიდრის პოლარიზაცია;

2. წრეგადასული მოხმარებისკენ სწრაფვა და მასთან დაკავშირებული კრიმინალური სიტუაციის გამწვავება;

3. ეკოლოგიური – წარმოების უზომო ზრდა და გარემოს დაბინძურება.

პროგრესულად მოაზროვნე ადამიანისთვის თვითგადარჩენის ინსტინქტი, მომავლისკენ სწრაფვა უძლიერესია. ამიტომაა, რომ დღევანდლამდე ფიგურირებდა „გონივრული ეგოიზმის“ იდეა, – დღეს უმთავრესი დევიზია „ადამიანებს მოეთხოვებათ გაუნაწილონ თავიანთი სიმდიდრე მათ, ვისაც არაფერი აქვს, არა გულმოწყალების მოტივით, არამედ აუცილებლობის ძალით. დღეს აქტუალურია დოვლათის ზრდისა და სოციალური ჰარმონიზაციის ურთიერთკავშირი, ქველმოქმედება, ჰუმანურობა. ყოველივე ამას პროგრესის სასინჯ ქვად მიიჩნევენ. ამ გზას ადამიანები უხსოვარი დროიდან ეძებდნენ საფრთხეების დასაძლევად. თ.რუზველტი მიიჩნევდა: ჩვენი პროგრესის სასინჯი ქვა იქნება არა ის, თუ რამდენად გავზრდით საქონლურ სიმდიდრეს, არამედ ის, შევძლებთ თუ არა საკმარისად უზრუნველვყოთ ხელმოკლენი“. შვაიცერსაც მოვიშველიებ: „ჩვენი კულტურის კრიზისი იმის შედეგია, რომ თანამედროვე სკოლაში ჰუმანიზმი ყველაზე შორეულ კუთხეშია მიკუნჭული“.

განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური განათლება, ეკონომიკური აღზრდა სკოლის ამოცანაა, სავალდებულოა. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ეკონომიკური განათლება ვერ გახდა ეროვნული სასწავლო გეგმის აუცილებელი დისციპლინა.

რადგან ეკონომიკის ჰუმანიზაცია განიხილება კაცობრიობის გადარჩენისა და პროგრესის პირობად, ცხადია, იგი ამ ფუნქციას ვერ შეასრულებს, თუ არ გაფართოვდა და არ გაძლიერდა ინტერდისციპლინარული ხედვა, მისი კავშირი ფუნდამენტურ საბუნებისმეტყველო მეცნიერებასთან, პედაგოგიკასთან, ფსიქოლოგიასთან, სოციოლოგიასთან და ასეთი ხედვის საფუძველზე არ შემუშავდა ეკონომიკური კულტურის აღზრდისადმი ერთიანი მიდგომა.

III. სიყვარულს სწავლა უნდა

მასობრივი კულტურის ინტენსიურად შემოჭრის პირობებში, როგორც ტელევიზია, ისე პრესა გადაიტვირთა სექსუალური თემებით. „სექსუალური ნარცისიზმით“ შეპყრობილთ არაფრად მიაჩნიათ განქორწინება:

ა) „ქორწინება დასაშვებია იმდენჯერ, რამდენჯერაც გნებავთ! შეიძლება მხოლოდ ერთი დღე გიყვარდეს და იმ ერთი დღით იყო ბედნიერი...“

ბ) სიყვარულის თემა ამოუწურავია, მისი ფორმულა ჯერ არავის გამოუგონია. რაც გნებავთ ის დაარქვით – ლტოლვა, გრძნობა, ნდომა – ეს ყველაფერი ერთმანეთშია არეული.

გ) „არავინ იცის, სად გადის ზნეობის ზღვარი – რაც მე მგონია ზნეობა, სხვას შეიძლება უზნეობად მოეჩვენოს და პირიქით. ამიტომ ამ ცხოვრებაში უნდა აკეთო ის, რაც გინდა“.

ამ შეხედულებების ავტორი ფსიქოლოგი, ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორი და ტელესახეა.

რამდენიმე ქმრის ყოლით და დღესაც მათთან მეგობრობით თავს იწონებენ ასევე ცნობილი სახეები ტელევიზიაში, გაცილების მიზეზს კი არ ამბობენ.

მაგალითად მოვიტანთ წიგნს „მხიარული საუბრები ჰიგიენის, სექსისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ“, რომელიც 13-დან 19 წლის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი და ასევე ამერიკელი ავტორის რუთ ბელის წიგნს „ცვლილებები სხეულში, ცვლილებები ცხოვრებაში“, სადაც სექსის მხოლოდ ბიოლოგიური მხარეა წამოწეული (გამომცემლობა „დიოგენე“).

ლამაზად გაფორმებულ ორივე წიგნზე რიგი იდგა. მასკულტურა ხომ თვალმომჭრელი, ბრჭყვიალა და მსუბუქია, „საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხომ ხელოვნება ფულით იზომება“ (კურტ ბონეჭუტი), რაც მოზარდ თაობას უთუოდ მიიზიდავს და დაუჩლუნგებს მარადიულ ღირებულებებთან, ამაღლებულთან

თვალსაზრისი

ზიარების სურვილსა და უნარს!

„პასიური ოპტიმისტები“ თავს ვიმშვიდებდით: მასკულტურის ზვავივით მოვარდნა, უცხოურის მიბაძვა, დროებითია და თანდათან შესუსტდებაო. რა შეასუსტებს, როცა მის რეკლამას პოპულარიზაციას აქამდე ემსახურებოდა ზოგიერთი ტელეარხი, გამომცემლობა.

მერედა, ვინ გთხოვთ გვისმინოთ, გადართეთ, ნუ წაიკითხავთ. არჩევანი ხომ თქვენს ხელთაა, მაგრამ ვიცით, რა ავირჩიოთ?... ასე თანდათან მიუახლოვდა თავისუფალი სიყვარული სექსს, რამაც თავისი გამოვლენა თავისუფალ ჩაცმულობასა და მეტყველებაშიც ნახა.

ხომ არ აერიათ „პროგრესისტებს“ თავისუფალი სიყვარული სიყვარულის ერთ-ერთ თვისებაში:

„სიყვარული თავისუფლების ერთ-ერთი გამოვლენაა, ვერავინ გვაიძულებს გვიყვარდეს. მას ვერც შეგონებით და ვერც ბუნებრივი ინსტიქტით ვერ გამოიწვევ, ხშირად იგი სავსებით გასაგები ხდება გონებისთვის. სიყვარული იმიტომ არის გონების იდენტური, რომ როგორც გონება, სიყვარულიც თავისუფალია“ (ფოიერბახი).

„სიყვარული გრძნობის წმინდა აქტია, მიმართული ერთი რომელიმე პიროვნებისადმი. მეორე მხრივ, სიყვარული განსხვავდება გატაცებისგან, რომელშიც ხშირად ურევენ. უეჭველია გატაცება სიყვარულის ერთ-ერთი გამოვლენაა, მაგრამ თვით სიყვარული არ არის გატაცება“ (ორტეგა ი გასეტი).

„სიყვარული ინდივიდუალიზებული გრძნობაა, რომელიც მიმართულია ერთი კაცისაკენ ან ერთი ქალისაკენ. სქესობრივი გრძნობა კი არ არის ინდივიდუალიზებული გრძნობა, აქ გამოდგება მეტ-ნაკლებად შესაფერი მამაკაცი, ყოველი მეტ-ნაკლებად ახალგაზრდა ქალი. ჩვენი საუკუნის მატერიალიზმმა სიყვარული დაიყვანა ფიზიოლოგიურ ფუნქციამდე. სამყაროს ორი საწყისის – მამაკაცისა და ქალის მიზიდულობის დიდებული კანონიდან, რომელიც მოიცავს როგორც ფიზიოლოგიურს, ისე სოციალურს, აღებული იქნა მხოლოდ ფიზიოლოგიური“ (კლიზოვსკი).

როგორც ე. ფრომი შენიშნავს – „სქესობრივი „გაწონასწორებისთვის“ განათლება აუცილებელია, მაგრამ თეორიული წარმოდგენები და თუნდაც პრაქტიკული გამოცდილება იმდენად არსებითი არ არის, რამდენადაც ის, თუ როგორი დამოკიდებულება ჩამოყალიბდება ახალგაზრდას ბიოლოგიური და სოციალური სქესის შესახებ, როგორ სახეს მიიღებს სქესობრივი მიკუთვნებულობა, რა ნიშნებით დახასიათდება მამაკაცური და ქალური ღირსება“.

როგორც მამაკაცური ისე ქალური საწყისი მატერიისა და სულის ერთიანობაა. „სული ნატიფი, დახვეწილი მატერიაა, მატერია გამკვრივებული, გაკრისტალებული სულია“ (კლიზოვსკი). იქნებ სიყვარულის საიდუმლოება სულისა და მატერიის შეთავსებასა და შეხამებაშია? სექსუალური სწრაფვის გარეშე სიყვარული არ არის სიყვარული, მაგრამ სულის, გონების სწრაფვის გარეშეც სიყვარულს ნამდვილი სიყვარული ვერ დაერქმევა. „ცნობიერებას, გონებას თითქოს ერთ ხელში უჭირავს მათრახი, მეორეში სატყუარა, უმაღლესი ტკბობის დაპირება. ინსტინქტი თანდათან მოშინაურდება, მოთვინიერდება, სოციალიზირდება“ (ე. ფრომი). ამ პროცესში შეიძლება სულიერი ტანჯვაც განვიცადოთ, მაგრამ თუ „უკან დახევა“ გაცნობიერებულია, ეს უკვე თავშეკავება, საკუთარ თავზე გამარჯვებაა. ამ პროცესში ყალიბდება ნებისყოფაც.

ამრიგად, აუცილებელია სქესობრივი აღზრდის შინაარსი, ზნეობრივი, სოციალური ასპექტებითაც დაიტვირთოს.

სქესობრივი აღზრდის ასეთი შინაარსით ერთობლივი მუშაობა ჯერ კიდევ ადრე, 90-იან წლებში დაიწყეს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნულმა და კანისა და ვენერიულ დაავადებათა ინსტიტუტებმა. ჩატარდა ექსპერიმენტი პირველ ექსპერიმენტულ, მე-18 და 72-ე საშუალო სკოლებში. მთავარი მიმართულება უფროსკლასელთა საოჯახო ცხოვრებისთვის მომზადება იყო, მაგრამ მასში გარკვეული ადგილი სქესობრივ აღზრდასაც ეკავა. ამიტომ იყვნენ ჩართული ექსპერიმენტში სექსოლოგები, ვენეროლოგები და პედაგოგიკურ მეცნიერებათა სპეციალისტები. ერთად ვფიქრობდით ამ ურთულესი პრობლემის სასწავლო შინაარსსა და მეთოდიკაზე. ერთ კონკრეტულ მეთოდზე მოგახსენებთ: კანისა და ვენერიულ დაავადებათა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრების – ბ. ჩლაიძის, ლ. ხოტენაშვილის, გ. გელაძის და გ. ჩოჩუას დახმარებით, ექსპერიმენტული ჯგუფის ბავშვები იმ პალატაში შევიყვანეთ, სადაც ვენერიული დაავადებით იწვნენ არასრულწლოვანები, თან საჩუქრები მივუტანეთ. კითხვაზე – როგორ ხართ? – ავადმყოფებმა თავები ჩაღუნეს. შემდეგ გერა მგელაძე და გივი ჩოჩუა სკოლაში ეწვივნენ ექსპერიმენტული ჯგუფის წევრებს, თან მოიტანეს ერთი ყოფილი ავადმყოფი ბავშვის დღიური. ჩანაწერები აღსარებას ჰგავდა და სულიერ და ფიზიკურ ტკივილზე მოგვითხრობდა. სტუმრებმა ბავშვებს ვენერიული დაავადებების შესახებ ბროშურები აჩუქეს, რომელიც „თავის თავთან ჩაფიქრებით“ უნდა წაეკითხათ (არც ერთ სტუმარს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებზე არ ულაპარაკია – ეს ხომ მათ მიერ ამ ასაკში სექსუალური ურთიერთობის დაშვებას ნიშნავდა. მასალები იხ. კრებული „საოჯახო ცხოვრებისთვის მოსწავლეთა მომზადება“, რიგა, 1983 წ.; ჟ. „სკოლა და ცხოვრება“, 1990 წ. №1).

„ვასწავლოთ ჩვენს შვილებს რა არის სიყვარული. ისიც ვასწავლოთ, რომ სიძნელე ის კი არაა, შეგიყვარდეს, არამედ დარჩე შეყვარებული“ (ფ. ბეგბედარი), რათა მუდამ ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე – თუ გიყვარს, რას აკეთებ მისთვის, ვინც გიყვარს!? ანუ ვასწავლოთ, რას ნიშნავს „პროდუქტიული სიყვარული“ (ე. ფრომი), რომლის შინაარსი მოიცავს ზრუნვასა და პასუხისმგებლობას იმის მიმართ, ვინც გიყვარს. ისიც ვასწავლოთ, რა არის ვნება, რომელსაც ბრძენი მოაზროვნე პლატონი ჯიუტ ცხენს ადარებდა, რომელსაც „თუ აღვირით არ ვმართავთ, შეუძლია უფსკრულში გადაგვჩეხოს“.

როზა ირემაშვილი
გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი, დამსახურებული მასწავლებელი

ნათელა ნატროშვილი
თბილისის 72-ე საჯარო სკოლის დირექტორი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ქეთევან ჭიაბრიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ძვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაძრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. თეიმურაზ I
22. ვახტანგ VI
23. გიორგი მერჩულე
24. გრიგოლ ორბელიანი
25. დავით ალმაშენებელი
26. გურამ ასათიანი
27. გრიგოლ რობაქიძე

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან** ახალი
- ალბერ კოენი - **დედაჩემი** ახალი
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები** ახალი
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა** ახალი
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
თამაზ ვასაძე
~~11 ლარი~~
9 ლარი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“
თამარ ბეროზაშვილი
10 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“
~~10 ლარი~~
4.90 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“
~~17 ლარი~~
14.90 ლარი



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი



საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი

ილია ჭავჭავაძე, ორტომეული
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი



„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- ჩვენი დედამიწა
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები
- ქიმია
- მეკობრეები
- ოლიმპიური თამაშები
- მთები
- ჯანსაღი კვება
- არქიტექტურა

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-IV ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >